www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 20 სექტემბერი, 2012 წელი. | №3116 (209) | ფასი 50 თეთრი

საგანგებო მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

"მინისტრობის პერიოდში, მაქსიმალურად შევეცადე და ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები ყოფილიყო დაცული და სასჯელაღსრულების სისტემა მაქსიმალურად შესაბამისობაში ყოფილიყო ევროპულ სტანდარტებთან. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ძალისხმევა არ იყო საკმარისი. შევეცადე, ყველაფერი გამეკეთებინა იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები დაცული ყოფილიყო, შევეცადე შევსულიყავი პატიმრების მდგომარეობაში, ისევე, როგორც მათი ოჯახის წევრების მდგომარეობაში, რაზეც მეტყველებს ის რეფორმები, რაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამინისტროში. ჩემთვის უაღრესად შემაძრწუნებელია ის, რაც მოხდა გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ამასთან დაკავშირებით მე მივმართე პრემიერ-მინისტრს ჩემი გადადგომის თაობაზე," - ამ სიტყვებით გამოემშვიდობა საკუთარ თანამდებობას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, რომელსაც, უწყებაში არსებული მდგომარეობის გამო, არა მარტო პატიმრები, მათი ახლობლები და ოჯახის წევრები, არამედ სახალხო დამცველიც არა ერთ ბრალდებას უყენებდა. კალმახელიძის განცხადება პრემიერ-მინისტრმა გუშინვე დაკმაყოფილა და მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა კალმახელიძის ყოფილი მოადგილე დავით მაქაცარაშვილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ კი შს მინისტრ ბაჩო ახალაიას მოადგილე გია ლორთქიფანიძე.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

პროტესტის დღე

მარი ახსიაშვილი

გლდანის მე-8 საპყრობილის პატიმრების წამების კადრების გავრცელების შემდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. გუშინ დედაქალაქში აქცია რამდენიმე ადგილას გაიმართა. ფილარმონიასთან ადამიანთა ჯგუფი დაჩი ცაგურიას და ლევან ჩიტაძის ორგანიზატორობით შეიკრიბა. მიუხედავად იმისა, რომ აქციას აპოლიტიკური ერქვა, მასზე პოლიტიკოსები და "ქართული ოცნების" მაისურიანი ადამიანებიც გამოჩნდნენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ხელისუფლება აღიარებს პრობლემის სისტემურობას

სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრების წამების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მთელი სტრუქტურის რეფორმირების ინიციატივით გამოვიდა. მან პენიტენციური სისტემის გაუქმებისა და მისი ახლებურად ჩამოყალიბების ბრძანება გასცა. პრეზიდენტის რეზიდენციაში საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს სისტემის კონტროლზე აყვანა დაავალა. **"ვითარება ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს მთავარი პროკურატურის ან შსს-ს კომპეტენციას ეხება. პენიტენციური სისტემა მთლიანად გასაუქმებელი და ახლებურად ჩამოსაყალიბებელი, გადასახალისებელია. ეს უნდა მოხდეს ისევე, როგორც პატრულში. ეს არის პოლიტიკური კომპრომატების ომი, მაგრამ ახლა პოლიტიკა ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. მესმის, რომ ეს შეიძლება სხვაგვარად იმართება და ფულიც ტრიალებს, მაგრამ შენ არ უნდა მისცე საბაბი და არ უნდა აპოვნინო სუსტი წერტილი. მანიაკების ხელში არ უნდა ჩავარდეს სისტემა. როგორი ნულოვანი ტოლერანტობაც გვაქვს დანაშაულის მიმართ, ასევე უნდა იყოს ადამიანის უფლებების ნებისმიერი დარღვევის მიმართ,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. მანვე დასძინა, რომ მერაბიშვილმა სხვა საქმე უნდა გადადოს და სისტემა კონტროლზე აიყვანოს. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ პენიტენციურ სისტემას, რომელიც, მისი თქმით, საპატრულო პოლიციაზე ბევრად პატარა სისტემაა, სწრაფად მოევლება.

პირველი ნაბიჯი დროებითი ღონისძიება იყო. სააკაშვილის დავალებით, გლდანის მე-8 საპყრობილე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინვე დაიკავეს. **"ასე იყო თავიდან პოლიციაში. შეიყვანეთ პატრულის ჯგუფები, ეს არ არის ბოლომდე პატრულის ფუნქცია, მაგრამ ახლა საგანგებო ვითარებაა,"** - ამბობს პრეზიდენტი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ფრანგული "CHARLIE HEBDO"-ს კარიკატურების შედეგები

ხათუნა გაბიევი

ფრანგულ გამოცემა "Charlie Hebdo"-ში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნების გამო საფრანგეთი 20 ქვეყანაში საელჩოებსა და სკოლებს დახურავს. პარიზში შიშობენ, რომ ანტიისლამური ფილმის გამო დაწყებულ არეულობას ისლამურ სამყაროში კარიკატურების დამატება კიდევ უფრო გაამწვავებს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორან ფაბიუს განცხადებით, მან უკვე გასცა განკარგულება, მიიღონ უსაფრთხოების საგანგებო ზომები ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ტიპის პრობლემის შექმნაა მოსალოდნელი.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6465⇓
1 ევრო	2.1507⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6762⇓
1 თურქული ლირა	0.9132⇓
100 რუსული რუბლი	5.3320⇓

თბილისი	26°C - 18°C
ქუთაისი	31°C - 18°C
თელავი	27°C - 13°C
ზუგდიდი	30°C - 15°C
ბათუმი	27°C - 18°C

ნავთობი	3.04	-0.08	-2.79%
გაზი	2.77	+0.00	-0.04%
ოქრო	1,772.40	+1.20	+0.07%
ხორბალი	874.25	+10.75	+1.23%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

BLACKOUT - ნათელი ბნელში

ლადო ბეროზას გამოფენა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში

ბელა ჩეკურიშვილი

ლადო ბეროზა

გამოფენა, რომელიც დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება, ერთი მხრივ თანამედროვე დასავლური ხელოვნების ტენდენციებს გვაცნობს და ასევე უამრავ საფიქრალს გვიჩენს: პირველი შთაბეჭდილება, რაც დამთვარიელებელს ექსპოზიციის ნახვისას რჩება, არის დამწვრის, გამოყენებულის, ნარჩენების იმპულსი, რომელსაც თან ერთვის შიში და დანაშაულის გრძნობა: ეს არის ჩვენი გარემო, სადაც ვცხოვრობთ, რომლისგანაც დაუზოგავად ვიღებთ ყველაფერ ნედლს და ცოცხალს, საპასუხოდ კი გამოფიტულ ნარჩენებს გავცემთ.

ეს არ არის ფიქრი მხოლოდ ეკოლოგიაზე, ენერგორესურსების ამოწურვასა და დაბინძურებულ ჰაერსა თუ გარემოზე, აქ უფრო მარადიული პრობლემა შეგაწუხებთ - ჰომო ფაბერის პრობლემა, რომელიც მუდმივ წრეში ტრიალებს.

გამოფენის ავტორმა, გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მხატვარმა ლადო ბეროზამ (ბეროზაშვილმა) ექსპოზიციის ობიექტები - სკულპტურა, მხატვრობა და დიდ რელიეფები იმგვარი მასალით წარმოადგინა, რომ მუზეუმის დარბაზები უჩვეულო სუნით გაიჟღინთა, სუნი, რომელიც საწარმოო ნარჩენებს ახლავს.

BLACKOUT - დაბნელება - ეს არის ლადო ბეროზას გამოფენის სლოგანი, რომელიც ასევე შეგვიძლია ხილვადობის დაკარგვადაც გავიგოთ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

პატიმართა წამების ფაქტების შეფასებები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: ამას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება.

"ციხეებში პატიმრების წამების შესახებ გუშინ და დღეს მასმედიის საშუალებით გავრცელებულმა კადრებმა შეძრა სრულიად საქართველო. ეს არის როგორც ქრისტიანული მორალით, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით ადამიანის უფლებების უმძიმესი დარღვევა და ამას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება. შექმნილი სიტუაციის გამო გადაიდო ფოთის ახლად აშენებული საკათედრო ტაძრის კურთხევა და ახლო მომავალში დაგეგმილი ყველა სხვა საეკლესიო საზეიმო ღონისძიება."

გიგი უგულავა, თბილისის მერი: სახეზეა სისტემური პრობლემა

"ეს ყველაფერი შემზარავი იყო. ცალსახად დასაგმობია და მიუთითებს იმას, რომ მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური რეფორმისა, მათ შორის მტკივნეული რეფორმებისა, რომლებიც ჩვენ ამ წლებში ჩავატარეთ, სადღაც რაღაც გამოგვრჩა და რაღაცას ბოლომდე ყურადღება ვერ მივაქციეთ. აშკარად სახეზეა სისტემური პრობლემა და მას სწრაფი რეაგირება სჭირდება. მე, როგორც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, იმ პოლიტიკური გუნდის წევრი, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, პირველ რიგში, ბოდიშს ვუხდი ჩემი პირადი სახელით და ჩემი კოლეგების სახელით იმ ადამიანებს, ვისაც ასეთი სადისტური ზიანი მიაყენეს და ამავდროულად პირობა მინდა დავდო, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მსგავსი რამ ჩვენს ციხეებში აღარასდროს განმეორდეს."

ელჩი ტისკევიჩი, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელი: არავის ინტერესებს წაადგება ვითარების დაძაბვა

"იმ განსაკუთრებით სენსიტიურ პერიოდში, როდესაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო წვრთნები "კავკასია 2012" მიმდინარეობს და მოახლოებულია საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ყველა მხარემ თავშეკავება გამოიჩინოს ისეთი ქმედებების მიმართ, რომლებიც შეიძლება პროვოკაციულად იყოს მიჩენული. არავის ინტერესებს წაადგება, რომ ამ პერიოდში ვითარება დაიძაბოს. ყველა მხარესთან გაგრძელდება მუშაობა, ვიდრე დაძაბულობა არ შემცირდება. ჩვენს მიზნად კვლავ რჩება ხალხის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება."

აშშ-ს საელჩო საქართველოში: ვიზიარებთ ყველა ქართველის გაოგნებასა და შეძრწუნებას

"ვიზიარებთ ყველა ქართველის გაოგნებასა და შეძრწუნებას იმ საშინელი ქმედებებით, რომლებიც გუშინ გავრცელებულ კადრებშია ასახული. აღსანიშნავია, რომ მთავრობამ ამ საქმის გამოძიება დაიწყო. საქართველოს სახალხო დამცველს - თავის მოხსენებაში, და ჩვენ, სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის ყოველწლიურ მოხსენებაში, აღნიშნული გვაქვს, რომ საქართველოში პატიმართა უფლებების დარღვევა სერიოზული საკითხია და ის უნდა გადაიჭრას. ვთხოვთ მთავრობას, ჩაატაროს გამოძიება სრულყოფილად და გამჭვირვალედ და უმოკლეს დროში უზრუნველყოს, რომ პასუხისმგებელი პირები მართლმსაჯულების წინაშე წარდგნენ."

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორატი და აკადემიური პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჭეშმარიტი მამულიშვილის, უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ერთგული მეგობრის ბატონი

გენო ჩიქვინიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

საგანგებო მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

პირველი გვერდიდან

წლების განმავლობაში, ომბუდსმენის ყველა მოხსენება-ანგარიშში საკმაოდ ვრცელი ადგილი ეკავა გლდანის N8 დაწესებულებაში არსებული პრობლემების დეტალურ მიმოხილვას. სახალხო დამცველს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც არაერთხელ დაუსვამს და მისთვის რეკომენდაციითაც მრავალჯერ მიუმართავს, სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარ ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით.

წლების განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებით, ცნობილი ხდებოდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ყველაზე მწვავე პრობლემებით გლდანის N8 დაწესებულება გამოირჩეოდა. მონიტორინგის ოფიციალური შედეგებისა და ოფიციალური ანგარიშების მიხედვითვე, იქ სისტემურ პრობლემას პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა და "გლდანის ციხის დაუწერელი კანონები" წარმოადგენდა.

"ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციები საჭიროებს გადამოწმებას, რაზეც ჩვენი მხრიდან მოხდება რეაგირება, თუმცა ბევრი ფაქტი არ შეეფერება სიმართლეს," - ძირითადად, ასეთი კომენტარებით შემოიფარგლებოდა სასჯელაღრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო.

სახალხო დამცველის არაერთ მკაცრ ანგარიშში ფიგურირებდა გლდანის საპყრობილისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმ თანამშრომელთა გვარები, რომელთა სახეებიც ბოლო ორი დღის მანძილზე მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ პატიმართა წამების ამსახველ ვიდეოკადრებშია დაფიქსირებული.

"შევახსენებ სამართალდამცველ ორგანოებს, რომ მსგავსი ფაქტები გლდანის N8 დაწესებულებაში რეგულარულ ხასიათს ატარებს. დაწესებულებაში პატიმრების მიმართ, გახსნის დღიდან, სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა სახის არასათანადო, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა. არა ერთ ასეთ ფაქტზე, დაუყოვნებელი და ეფექტური გამოძიების მოთხოვნით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუმცა დღემდე ეს ფაქტები არ გამოუძიებიათ და დამნაშავეები არ დაუსჯიათ," - აცხადებს გიორგი ტუღუში.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ გლდანის N8 დაწესებულება, არასათანადო მოპყრობის მხრივ, არ წარმოადგენს გამონაკლისს სასჯელაღსრულების სისტემაში. მსგავსი პრობლემებია ქუთაისის N2, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18, ქსნის N15 დაწესებულებებში. ამის თაობაზე სახალხო დამცველმა არაერთხელ გაავრცელა საგანგებო განცხადება, რასაც სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.

გუშინ, გვიან საღამოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურას პატიმართა წამების საქმის გამოძიებაში მონიტორინგის წესით ჩართვის თხოვნით მიმართა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილი მდგომარეობა განაპირობა ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად არასწორმა მიდგომამ ზოგადად სისტემისა და სახალხო დამცველის მთელი რიგი მოწოდებებისა და ანგარიშების მიმართ არაადეკვატურმა რეაქციებმა.

ომბუდსმენის აპარატმა გუშინ იმ პირთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც სახალხო დამცველის ანგარიშებში იყვნენ მოხსენიებულნი, როგორც პატიმართა მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის განმახორციელებლები.

2010 წლის ომბუდსმენის საპარლამენტო ანგარიშში მოხვდნენ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილე, სარეჟიმო განყოფილების უფროსი, ასევე დაწესებულების თანამშრომლები - ავთო პოპიაშვილი და გიორგი ბიწაძე. დაბა ქსნის N15 დაწესებულების დირექტორის მოადგილე გიორგი კოხრეიძე და რეჟიმის უფროსი ლევან ლეჟავა, ამავე დაწესებულების თანამშრომლები - ქიტესა გულისაშვილი, ლევან ლეჟავა, გელა იოსავა, დიმა ჩხაიძე, ვინმე ლექსო, კახა, ნიკა და ლევანი, ვიტალი.

ომბუდსმენის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიშში მოხვდნენ ქუთაისის N2 დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი დიმიტრი ჯიჭონაია, რეჟიმის უფროსი ირაკლი ჯიშკარიანი, კონტროლიორი გაგა ლიპარტელაინი, ვინმე ბესო, თანამშრომლები - რომან რობაქიძე, აჩიკო ტაბატაძე, მიშა გიგაური, ვინმე მამუკა და ანზორი.

გლდანის N8 დაწესებულებიდან ვინმე "ანგო", "ხონსკი", ბექა მჟავანაძე, ოლეგი (ომბუდსმენის აპარატის განცხადებით სავარაუდოდ, უკვე ბრალდებული ოლეგ ფაცაცია), გიორგი ავსაჯანიშვილი, ალექსანდრე თოლორდავა, ვაჟა ცხვედიანი.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ამჯერად სამართალდამცველი ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ გამოვლინდეს და სათანადოდ დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა პატიმრების ცემასა და მათ მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში, ასევე - ის პირებიც, ვისი მდუმარე თანხმობითაც ხორციელდებოდა სისატიკე.

პატიმართა წამების ფაქტზე 10 პირი დააკავეს

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამების ფაქტებზე მთავარ პროკურატურაში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაიწყო: 144 პრიმა მუხლით - წამება და 144-3 მუხლით - დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა.

მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას განცხადებით, წამებისა და დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით დაკავებულია გლდანის საპყრობილის 10 საჯარო მოხელე - პირები, რომლებიც გავრცელებულ წამების ამსახველ კადრებზე ამოიცნეს და პირები, რომელთაც ევალებოდათ საპატიმროში წესრიგის დაცვა.

პროკურატურამ დააკავა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გაგა მკურნალიძე, გლდანის მერვე საპყრობილის დირექტორი დავით ხუჭუა, დირექტორის მოადგილე ვიქტორ ყაჭეიშვილი, საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, მერვე საპყრობილის რეჟიმის უფროსი ინსპექტორი გიორგი კვარაცხელია, მერვე საპყრობილის რეჟიმის განყოფილების უფროსი ოლეგ ფაცაცია, კონტროლის ინსპექტორი მანუჩარ ლომთაძე, ოპერატიული მორიგე გელა ცომაია, კონტროლიორი ლევან ფხალაძე და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა. მთავარმა პროკურატურამ კიდევ ერთ პირს, გლდანის საპყრობილის ყოფილ მორიგე ინსპექტორს ვლადიმერ ბედუკაძეს ბრალი დაუსწრებლად წაუყენა და მასზე გამოცხადდა ძებნა.

ახალი ვიდეომასალა და ვითარება გლდანის ციხესთან

გუშინ კიდევ ერთი, პატიმართა არასათანადოდ მოპყრობის, ძალადობის და ცემის ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა, რომელიც არასრულწლოვანთა კოლონიაშია გადაღებული. გავრცელებულ ვიდეომასალაში ისმის, როგორ ითხოვს არასრულწლოვანი, რომ არ სცემონ. თუმცა ციხის თანამშრომლები მას გაუპატიურებით ემუქრებიან.

მთელი დღის განმავლობაში, გლდანის N8 საპყრობილესთან იმ პატიმრების მშობლები და ახლობლები იყვნენ შეკრებილები, რომლებმაც, გავრცელებულ წამების ამსახველ ვიდეოკადრებში საკუთარი შვილები და ახლობლები ამოიცნეს. მსჯავრდებულების ახლობლებთან ერთად, გლდანის ციხესთან მსჯავრდებულების ინტერესების დამცველები და რიგითი მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ. იქ მყოფები ახლობელი პატიმრების ნახვას მოითხოვდნენ. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ რიგგარეშე პაემნით სარგებლობის საშუალება მხოლოდ 56 ადამიანს მიეცა, რის გამოც საპყრობილის სამოქალაქო მისაღებში ხმაური იყო. რიგგარეშე პაემანს პატიმართან გაცილებით მეტი ახლობელი მოითხოვდა

რა მდგომარეობა იყო საპყრობილეში, ამის შესახებ ინფორმაციას საპყრობილიდან გამოსული ადვოკატები და ომბუდსმენის აპარატის წევრები ავრცელებდნენ. მათი განცხადებებით, ციხეში სიმშვიდე იყო და პატიმრების უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული ციხის კედლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატმა დღის მეორე ნახევარში საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ომბუდსმენის აპარატი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე იყო გადასული და სახალხო დამცველის წარმომადგენლები ერთდროულად სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში ახორციელებდნენ ვიზიტს. **"ამავდროულად, რეაგირება ხორციელდება თითოეულ იმ უფლებადარღვევის ფაქტზე, რომელიც ბოლო ორი დღის განმავლობასი საჯარო გახდა. სახალხო დამცველი პერმანენტულად მიაწვდის მოსახლეობას ინფორმაციას სასჯელარღრულების დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე. ამ დროისთვის ყველა მონახულებულ დაწესებულებაში სრული სიმშვიდეა,"** - ნათქვამი იყო განცხადებაში.

რაც შეეხება "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, პატიმარ თამაზ თამაზაშვილს, რომელსაც სამართალდამცველები პატიმრების წამების ამსხველი კადრების დაკვეთაში ედავებიან, ის საკუთარმა ადვოკატმა შალვა თადუმიძემაც მოინახულა და ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებმაც.

"თამაზ თამაზაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და როგორც თავად აცხადებს, მასზე ფიზიკური ზეწოლა არ განხორციელებულა," -ასეთი იყო ომბუდსმენის აპარატის ინფორმაცია. თამაზ თამაზაშვილზე ფიზიკური ზეწოლა რომ არ განხორციელებულა, დაადასტურა მისი ინტერესების დამცველმაც.

მსჯავრდებულთა ნათესავების უმეტესობა გუშინ აცხადებდა, რომ მათ ოჯახის წევრები ხშირად განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ერთ-ერთი პატიმრის მშობლის განცხადებით, არის შემთხვევები, როდესაც ციხიდან გამოტანილი ტანსაცმელი არის დახეული, ხოლო შვილები, როდესაც მათ ე.წ. პაემნებზე ხვდებიან მათ, ერიდებიან მაისურების აწევას და სხეულის ჩვენებას, რადგან ნაცემები არიან და იმ შემთხვევაში, თუკი მშობლებს აჩვენებენ სხეულს, კამერები დააფიქსირებენ და ამის გამო უარესად გაუსწორდებიან.

ოფიცრის აღიარებითი ჩვენება

მთავარმა პროკურატურამ გუშინვე საქართველო-სომხეთის საზღვარზე დააკავა გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ოფიცერი დავით აკობია, რომელმაც ჩანაწერების ნაწილი გააკეთა და გამოიტანა საპყრობილიდან. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დავით აკობიამ გამოძიებასთან ითანამშრომლა, მან სამართალდამცველებს ჩვენება მისცა და როგორც მთავარ პროკურატურაში განაცხადეს, გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაციაც მიაწოდა. დავით აკობია მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამით ისარგებლებს.

პროკურატურამ გუშინ სასჯელაღსრულების ყოფილი ოფიცრის აღიარებითი ჩვენება გაავრცელა.

"სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვმუშაობდი 2012 წლის 24 აგვისტომდე. 5 აგვისტოს გლდანის მერვე დაწესებულების უსაფრთხოების ინსპექტორი ბორის ფარულავა დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. დავთანხმდი და შევხვდი. ის ანერვიულებული ჩანდა. მიზეზად მითხრა, რომ გადაღებული ჰქონდა გლდანის საპყრობილეში პატიმრების ცემის კადრები და ეს რომ გაიგონ, დაგვიჭერენო. ამიტომ, საზღვარგარეთ უნდა წავიდე, მაგრამ მანამდე ერთი კადრი მინდა და იქნებ შენ გადამიღოო, რის სანაცვლოდაც სოლიდურ თანხას დამპირდა. მე დავთანხმდი და 24 აგვისტოს, როდესაც "სმენაში" ვიყავი, ბორის ფარულავამ შემოიტანა ვიდეოთვალი, რომელიც შარვალზე უნდა დამემაგრებინა და კარანტინის დაშლის კადრი გადამეღო. დავალება შევასრულე. 25 აგვისტოს გამოვედი სამსახურიდან, ვნახე ბორის ფარულავა და გადავეცი ეს კადრი, მან მითხრა, რომ ეს კადრი იმ დღესვე უნდა გაეგზავნა ლადო ბედუკაძისთვის, რომელიც ბელგიაში იმყოფებოდა. ფარულავამ მითხრა, რომ ბედუკაძე ჩვენც დაგვეხმარებოდა და 28 აგვისტოს დამიკავშირდებოდა, 28-ში ლადო დამიკავშირდა სკაიპით და მითხრა, რომ ფულითაც დამეხმარებოდა, ოღონდ ბრიუსელში უნდა ჩავსულიყავი. გზის ფული ბორის ფარულავას უნდა მოეცა. 29 აგვისტოს ფარულავამ 400 დოლარი გადმომცა. მითხრა, რომ 18 სექტემბერს საქართველო უნდა დამეტოვებინა, სომხეთში წავსულიყავი, იქიდან უკრაინაში და ბელგიაში ჩასვლისთვის ბედუკაძე ყველანაირად დამეხმარებოდა," - ნათქვამია აღიარებით ჩვენებაში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ხელისუფლება აღიარებს პრობლემის სისტემურობას

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილმა სისტემაც შეაფასა და განაცხადა, რომ რეალურად, სისტემური მარცხი მოხდა. მან მინისტრებსა და მთავარ პროკურორს მიმართა: **"თქვენ გუშინ ამბობდით, რომ შემსრულებლებმა დავალება პატიმრებისგან მიიღეს. ბოდიში, მაგრამ ეს რაზე მეტყველებს, რა მდგომარეობაა ციხეებში? კანონიერი ქურდები ვეღარ მართავენ, სამაგიეროდ რა ხდება შიგნით? ამიტომ, ჩვენი პასუხი ბევრად უფრო მასშტაბური უნდა იყოს, ვიდრე ამ ხალხის დაჭერაა."**

პრეზიდენტის შეფასებით, პენიტენციური სისტემა სახელმწიფო აპარატში ბოლო ნაწილობრივ რეფორმირებული სტრუქტურაა.

პრეზიდენტი სააკაშვილი სასჯელაღსრულების სისტემის მაქსიმალურად გახსნის პირობას იძლევა. მისი თქმით, ასეთი შედეგი დახურული სისტემის შედეგია. პრეზიდენტმა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს პატიმრების ახლობლების დაწყნარების მიზნით, პატიმრებთან ვიდეოპაემნების დანიშვნა იქვე დაავალა.

რაც შეეხება წამების ფაქტების გამოძიებას, პრეზიდენტის თქმით, იმისთვის, რომ დადგინდეს, რეალურად რა მოხდა გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სპეციალური კომისია უნდა შეიქმნას, რომელშიც პარლამენტი და საზოგადოება იქნება ჩართული. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ პროცესში სახალხო დამცველიც უნდა მონაწილეობდეს და მისი წარმომადგენელი ყველა დაწესებულებაში უნდა იმყოფებოდეს. სააკაშვილის თქმით, სახალხო დამცველის ინსტიტუტს შტატი და დაფინანსება უნდა გაეზარდოს. **"ამ წლების განმავლობაში გიორგი ტუღუშისგან ბევრი კრიტიკა ისმის. როგორც გამოჩნდა, ის სისტემას სამართლიანად აკრიტიკებს. ყველგან უნდა გახსნას თავისი წარმომადგენლობა და მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფები უნდა შეუშვას,** - განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, - **სახალხო დამცველი თბილისში არ იმყოფება და როცა ჩამოვა, შევხვდები."**

პრეზიდენტის რეზიდენციაში მისვლამდე პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარ ფაქტებს ხაშურში გამართული მთავრობის სხდომიდან გამოეხმაურა. **"მინდა, მთავრობის ერთიანი პოზიცია გამოვხატო: გლდანის მე-8 საპყრობილეში ჩადენილი დანაშაული არის აღმაშფოთებელი, ეს ადამიანის ღირსების შელახვა და წამებაა. ამიტომ, ყველა, ვინც ამ საქმეშია ჩარეული, მათ შორის ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, დაპატიმრებულები ან ძებნაში არიან. ყველა მათგანი - შემსრულებელი, დამკვეთი და ორგანიზატორი მართლმსაჯულების წინაშე წარდგება. პირადად ვიძლევი გარანტიას, რომ როგორც აღმოვფხვერით პოლიციაში წამების ფაქტები, რომლებიც ჩვენების გამოძალვისა და აღიარებისთვის ხშირად გამოიყენებოდა, უზრუნველვყოფ, რომ ამ სისტემაში ადამიანის ღირსების შემლახავი და სხვა ქმედებები გამოირიცხოს. ჩვენ და მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ,"** - აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

პრეზიდენტის დავალების მიღების შემდეგ კი მერაბიშვილი პენიტენციურ სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების პირველ ეტაპს რუსთავის #16 საპყრობილეში გაეცნო. მან დაწესებულებაში ახლადმიყვანილ საპატრულო პოლიციას მიმართა.

"ჩვენ აქ სტრუქტურულ რეორგანიზაციას ვაკეთებთ და სანამ წესრიგს დავამყარებთ, დროებით თქვენი დახმარება დაგვჭირდება. ცოტა ხნით მოგწყვეტთ ჩვეულ საქმიანობას, თუმცა მოკლე ხანში ისევ დაუბრუნდებით თქვენს საქმეს. ჩვენ გვინდა, რომ აქ მუშაობდეს ისეთივე ხალხი, როგორიც ხართ თქვენ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეინარჩუნებთ სიმშვიდეს. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, შევცვლით სტრუქტურას და ეს სისტემა იქნება ისეთივე, როგორიც პატრულია," - აღნიშნა მერაბიშვილმა.

მოგვიანებით "ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში პარტიის საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა წამების ფაქტზე საგანგებო განცხადება გააკეთა. **"მინდა, პირდაპირ განვაცხადო, შეძრწუნებული და შოკირებული ვარ იმ ყველაფრით, რაც ეკრანზე ვიხილე. უფრო მეტიც, აღშფოთებული და უკიდურესად გაბრაზებული ვარ. ჩვენ 8 წლის განმავლობაში ახალ ქვეყანას ვაშენებთ, რომელიც ძალადობისა და წამებისგან თავისუფალი იქნება. არც ერთი უწყების შიგნით მოკალათებულ სადისტ-დამნაშავეებს უფლებას არ მივცემთ, კითხვის ქვეშ დაყენონ ის, რასაც 8 წლის განმავლობაში საზოგადოებამ სისხლით, ოფლითა და შრომით მიაღწია. როგორც ადამიანს, პოლიტიკოსსა და "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს მიმაჩნია, რომ ამ ფაქტების გამოძიება და ყველა დამნაშავის დასჯა თითოეული ჩვენგანის ღირსების საკითხია,"** - განაცხადა ბაქრაძემ.

ბაქრაძე "ნაციონალური მოძრაობის" სახელით აცხადებს, რომ პარტია მოითხოვს სრულ გამოძიებას და ყველა დამნაშავის საჩვენებლად დასჯას. მისივე თქმით, კრიმინალთან ბრძოლა სამწუხაროდ მოითხოვს ადამიანების დასჯას, მაგრამ ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული ახალი დანაშაულის ჩადენის საფუძველი არ უნდა გახდეს.

ბაქრაძის განცხადებით, ასევე უნდა დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, ვინც ასეთი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელი გახადა. პარლამენტის თავმჯდომარე სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ინიციატივითაც გამოვიდა. მისივე თქმით, 18 სექტემბერი ამ სისტემაში შემობრუნების დღედ უნდა იქცეს. როგორც ბაქრაძე ამბობს, ახალ პარლამენტში კომისია შეიქმნება, რომელიც სასჯელაღსრულების რეფორმაზე იმუშავებს. დავით ბაქრაძეს საკითხის პოლიტიზება არასწორად მიაჩნია. **"ეს არის კრიმინალი და ყველა კრიმინალი დასჯილი უნდა იყოს,"** - შენიშნავს ბაქრაძე.

პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალის შესახებ განცხადება ასევე გააკეთა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ. მან აღნიშნა, რომ ყველა შეძრწუნებული და შოკირებულია იმ მასალით, რომელიც გავრცელდა და - არანაკლებ იმ პრობლემით, რომელიც ამ მასალებიდან გამოვლინდა. ბოკერიას განცხადებით, წლების განმავლობაში დანაშაულებრივი ჯგუფების გასაკონტროლებლად ხელისუფლების ბრძოლა ამ ამაზრზენ სურათს არ ამართლებს. **"ჩვენ, როგორც ხელისუფლებამ, მძიმე შეცდომა დავუშვით, როცა სათანადოდ ვერ შევაფასეთ სიგნალები, რომლებიც სტრუქტურაში არსებული პრობლემების შესახებ სახალხო დამცველისგან, საზოგადოებრივი ჯგუფებისგან მოდიოდა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯოს,"** - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

საკუთარი ინფორმაცია

გიორგი კარბელაშვილი მზადაა, გამოძიების დასრულებამდე პერიოდი პატიმრებთან გაატაროს

გლდანის ციხეში გადაღებული ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი ნაციონალური მოძრაობიდან გიორგი კარბელაშვილი თავის კანდიდატურას ხსნიდა. მის საარჩევნო შტაბში ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. მოგვიანებით კი კარბელაშვილმა "ფეისბუქით" გაავრცელა განცხადება, რომელშიც წერს:

"მე, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქე, აღშფოთებული ვარ გლდანის ციხეში მომხდარი ფაქტით, ასე არ იქცევიან ადამიანები, ასე არ ექცევიან ადამიანებს, სახელმწიფო, რომელიც აშენებს დემოკრატიულ, ცივილიზებულ საზოგადოებას, ვერ შეურიგდება მსგავს ველურობას. მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანები უნდა მოიკვეთონ, ეს არ არის მორალური არჩევანის საკითხი, ეს ხელისუფლების ღირსების საკითხია და ამ შემთხვევაში ხელისუფლება უნდა იყოს კატეგორიული და მკაცრი, ახლა აუცილებელია დაისაჯოს ყველა ამ სამარცხვინო საქციელის მონაწილე...

მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციებს დასახმარებლად, მზად ვარ ის პერიოდი, სანამ არ დასრულდება საქმის საბოოლო გარჩევა, გავატარო ციხეში, პატიმრებთან ერთად.

ხვალინდელი დღიდან ჩემს საარჩევნო უბნებში ამოქმედდება სატელეფონო ცხელი ხაზი, კვალიფიციური იურისტები მიიღებენ მოქალაქეების საჩივრებს მომხდართან დაკავშირებით, რათა მოვახდინოთ რეაგირება ციხეში ძალადობისა და პატიმრების უფლებების დარღვევის თითოეულ ფაქტზე."

ამერიკული მონიტორინგის ჯგუფს ცესკო-მ უარი უთხრა

ამერიკულ მონიტორინგის ჯგუფს საქართველოში არჩევნებზე დაკვირვებაზე ცესკო-მ უარი უთხრა, - ამის შესახებ ამერიკულმა ორგანიზაციამ "ღია დემოკრატიის კომიტეტის" წარმომადგენლებმა განაცხადეს.

კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორის ბრაიან მეფორდის განმარტებით, ცესკო-მ უარის მიზეზად ორგანიზაციის მხრიდან არასაკმარისი ინფორმაციის წარდგენა დაასახელა.

"ჩვენმა ორგანიზაციამ არჩევნებზე დაკვირვების აკრედიტაცია სხვადასხვა ქვეყნებში ექვსჯერ მიიღო. ჩვენ ვაკვირდებოდით არჩევნებს უკრაინაში, მოლდავეთში, სლოვენიასა და მონტენეგროში. მონიტორინგის ჯგუფს უარი ეთქვა, დაკვირდეს 1-ელ ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. ეს ფაქტი საქართველოს მხრიდან წლების მანძილზე ბრძოლით მოპოვებული დემოკრატიული პრინციპებიდან და ინსტიტუტებიდან გადახვევას ნიშნავს," - აცხადებენ ორგანიზაციაში.

ამასთან, "ღია დემოკრატიის კომიტეტის" განცხადებით, ცესკო-მ აკრედიტაცია მიანიჭა ბელარუსის დელეგაციას, "რომელიც ოფიციალურად აღიარებულია, როგორც უკანასკნელი დიქტატურა ევროპაში".

"ბატონი სააკაშვილის ადმინისტრაცია ანიჭებს აკრედიტაციას ბელარუსის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ამ პიროვნებამ გააყალბა არჩევნები და განახორციელა პოლიტიკური დაშინება ისე, რომ მას აეკრძალა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში ჩასვლა. ამის მიუხედავად, იგი მაინც მიიღო პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა," - აღნიშნა კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა ბრაიან მეფორდმა.

ორგანიზაციის წევრების თქმით, ისინი აკრედიტაციის მოპოვებას კიდევ შეეცდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებს სამასამდე უცხოელი დამკვირვებელი დააკლდება.

პატიმართა წამების ფაქტების შეფასებები

ფილიპ დიმიტროვი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი: ამ ფაქტის უკან მდგომი ადამიანები დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ

"ვიდეომასალა ცხადყოფს, რომ ქართულ ციხეში ხდებოდა რაღაც აღმაშფოთებელი. ბუნებრივია, ხალხი შოკირებულია; ასევე ბუნებრივი უნდა იყოს ის, რომ ამ ფაქტის უკან მდგომი ადამიანები დაუსჯელნი არ დარჩნენ. მნიშვნელოვანია, საქართველომ და კერძოდ მისმა მთავრობამ ნათლად დააფიქსირონ, რომ ასეთი ფაქტები დაუსჯელი არ დარჩება, მათზე პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება და დამნაშავეების მიმართ გამოყენებული იქნება ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა."

გაერო-ს ბავშვთა ფონდი "იუნისეფი": ხელისუფლების მიერ გარანტირებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა

"გაერო-ს ბავშვთა ფონდი მკაცრად გმობს სასჯელაღსრულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებს, რომლებიც გავრცელდა სატელევიზიო არხებით. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, "არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი" (მუხლი 37, ბავშვის უფლებათა კონვენცია). ამავე უფლებებზეა გამახვილებული ყურადღება სხვა საერთაშორისო და რეგიონულ შეთანხმებებსა და კონვენციებში, რომლებიც ხელმოწერილია და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ. "იუნისეფი" მოუწოდებს მთავრობას, დეტალურად გამოიძიოს თავისუფლებააღკვეთილ და დაკავებულ არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. საქართველოს მთავრობა ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა არასრულწლოვნის, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ძალადობის მსხვერპლთა ან მოწმეთა უსაფრთხოება. ხელისუფლების მიერ გარანტირებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა."

"ჰიუმან რაითს უოტჩი": მომხდარზე უნდა ჩატარდეს კრიმინალური გამოძიება

"საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა ჩაატაროს დამოუკიდებელი და დაწვრილებითი გამოძიება, პასუხი აგებინოს დამნაშავეებს, უზრუნველყოს დაზარალებულები კომპენსაციით და მიიღოს ზომები, რომ მომავალში მსგავს ექსცესებს ადგილი აღარ ჰქონდეს."

გიორგი თარგამაძე, "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა": კალმახელიძე მხოლოდ პრობლემის ნაწილია

"ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, არის საპატიმროს თანამშრომელთა და მათზე ხელის დამფარებელთა სრული მორალური დეგრადაციის საშინელი მაგალითი. ჩვენ ორჯერ ზედიზედ დავსვით მინისტრის გადაყენების საკითხი პარლამენტში, რადგან გვქონდა ინფორმაცია, მაგრამ არ გვქონდა საკმარისი მტკიცებულებები. ორჯერვე "ნაციონალურმა მოძრაობამ" კალმახელიძეს ხელი დააფარა და შესაბამისი პასუხისმგებლობა აიღო. მას შემდეგ, რაც ამ ამაზრზენმა ფაქტებმა დღის სინათლე ნახა, სრულიად ნათელია, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" არანაირი პოლიტიკური და მორალური უფლება არა აქვს, ქვეყნის მმართველობაზე კვლავ პრეტენზიას აცხადებდეს. კალმახელიძე მხოლოდ პრობლემის ნაწილია, თავად პრობლემა სისტემურია და სისტემურადვე უნდა მოგვარდეს."

გურამ ჩახვაძე, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია": ასეთი ფანტაზია მხოლოდ არაადამიანს თუ ექნება

"ის, რაც საზოგადოებამ გუშინ ვიდეოფირზე იხილა, შეიძლება მხოლოდ მახინჯ თავში დაიბადოს. ასეთი ფანტაზია მხოლოდ არაადამიანს თუ ექნება. ედპ ყოველთვის აღნიშნავდა, რომ საპატიმროებში საგანგაშო ვითრება იყო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და ის შორდება ყოველგვარი ჰუმანიზმის ჩარჩოს. ამას აღნიშნავდნენ საერთაშრისო ორგანიზაციებიც და სახალხო დამცველიც. ჩვენ გვაქვს დოკუმენტური მტკიცებულება ციხეში არსებული ვითარების შესახებ. ამ ფაქტზე რეაგირება არასდროს გვინახავს, რადგან ხელისუფლებას პრობლემის მოგვარების პოლიტიკური ნება არ გააჩნია."

პატიმართა წამების ფაქტების შეფასებები

ბიძინა ივანიშვილი, კოალიცია "ქართული ოცნება": აუცილებელია მთელი ჩვენი ძალებისა და ენერგიის მიმართვა არჩევნების დღისკენ

"დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა სიმშვიდე და კეთილგონიერება. მორალურად გაკოტრებული ხელისუფლება შეეცდება, პროვოკაციების მოწყობით აგვაცდინოს არჩევნებში გამარჯვების გზას. გვესმის ყველასი, ვინც დღეს საჯაროდ გამოხატავს პროტესტს და მონაწილეობს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ აქციებში. მაგრამ შექმნილ ვითარებაში აუცილებელია მთელი ჩვენი ძალებისა და ენერგიის მიმართვა არჩევნების დღისკენ. პირველ ოქტომბერს, საერთო ეროვნულ აქციაზე - არჩევნებზე უნდა გამოვხატოთ ჩვენი ინდივიდუალური და საერთო ეროვნული ნება და შევქმნათ ზნეობისა და კონსტიტუციის პატივისმცემელი ხელისუფლება".

თინა ხიდაშელი, კოალიცია "ქართული ოცნება": ეს ადამიანები სხვა პატიმრების წამებაშიც არიან მხილებულნი

"საინტერესოა, რა ხდებოდა სხვა დღეებში ციხის კორიდორებში და იყო თუ არა გამონაკლისი შემთხვევა პატიმრების დახვედრისა ის, რაც გუშინ ვნახეთ, თუ ამას სისტემური ხასიათი ჰქონდა. იმ ადამიანების სახელები და გვარები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, ყველასთვის ცნობილია. ეს ადამიანები სხვა პატიმრების წამებაშიც არიან მხილებულნი".

ზვიად ძიძიგური, კოალიცია "ქართული ოცნება": მომხდარ შემზარავ დანაშაულზე პასუხისმგებელია მთელი ძალოვანი ვერტიკალი

"სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მომხდარ შემზარავ დანაშაულზე პასუხისმგებელია მთელი ძალოვანი ვერტიკალი - მერაბიშვილი, ახალაია, ადეიშვილის ჩათვლით. ეს, პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდებოდა საქართველოს პირველი პირის მხარდაჭერისა და უშუალო ხელშეწყობის გარეშე. აუცილებელია, შეიქმნას საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სასჯელაღსურლების დეპარტამენტის საქმიანობას ბოლო 8 წლის განმავლობაში."

შალვა ნათელაშვილი, "ლეიბორისტული პარტია": ამ შემზარავ მოვლენებს ჰყავს ორი შემოქმედი - სააკაშვილი და ივანიშვილი

"ამ შემზარავ მოვლენებს ჰყავს ორი შემოქმედი - სააკაშვილი და ივანიშვილი. ეს არის მათი წინასაარჩევნო ავანტიურა. 2010 წელს პარტიის მიერ ჰააგაში შეტანილ სარჩელშიც არის წარმოდგენილი ციხეებში პატიმრების წამებისა და ძალადობის ფაქტები. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ციხეებში არის უსამართლობა, პატიმრების წამება, ცემა, შეურაცხყოფა, ზეწოლა. ჰააგის სასამართლომ ჩვენი სარჩელის საფუძველზე უკვე დაიწყო მასალების გამოძიება. სააკაშვილმა და ივანიშვილმა ერთად უნდა აგონ პასუხი მომხდარ საშინელებაზე. ივანიშვილმა დიდხანს დამალა ეს ფაქტები და მაშინ, როდესაც შალვა ნათელაშვილთან წააგო დებატები, გამოიტანა ეს სისაძაგლე, რათა საზოგადოების ყურადღება მთლიანად გადაეტანა სხვა მოვლენაზე. ეს ივანიშვილმა შეგნებულად გააკეთა და ამ ფაქტების დამალვის გამო მან პასუხი უნდა აგოს ისევე, როგორც მისმა მოკავშირე სააკაშვილმა.

"ახალი მემარჯვენეები": ეს სისტემა დასაშლელია და შესაქმნელია ახალი

"მოვითხოვთ, დაიწყოს ყველა იმ თანამდებობის პირის თუ რიგითი თანამშრომლის სისხლის სამართლებრივი დევნა, რომლებიც მონაწილეობდნენ პატიმრების მიმართ ამ სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობაში. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ეგიდით დაიწყოს ამ და ზოგადად საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა წამების ფაქტების საერთაშორისო გამოძიება და სასწრაფოდ მოხდეს მთლიანად პენიტენციური სისტემის სრული საკადრო და სტრუქტურული რეორგანიზაცია. ეს სისტემა დასაშლელია და შესაქმნელია ახალი სისტემა კონტროლის ქმედითი მექანიზმებით, რომელიც მსგავს ფაქტებს გამორიცხავს და უზრუნველყოფს პატიმართა უფლებების დაცვას საქართველოს ციხეებში."

პროტესტის დღე

პირველი გვერდიდან

აქციაზე მივიდნენ სასულიერო პირებიც. ცოტა ხანში მომიტინგეებმა მელიქიშვილის გამზირი გადაკეტეს, რის გამოც ფილარმონიიდან ვარაზისხევამდე მანქანების და ყვითელი ავტობუსების კოლონა დადგა. უფლებადამცველი დაჩი ცაგურია მძღოლებს მოუწოდებდა, სიგნალებით გამოეხატათ თავიანთი პროტესტი. აქციაზე პოლიტიკოსებმა, უფლებადამცველებმა და რიგითმა მოქალაქეებმა პატიმართა წამების ფაქტები გააპროტესტეს. აქციის მონაწილეების მოთხოვნით, ხათუნა კალამახელიძის გადადგომა საკმარისი არ არის. როგორც დაჩი ცაგურიამ განაცხადა, უნდა დადგეს ხათუნა კალმახელიძის, ბაჩო ახალაიას, დიმიტრი შაშკინის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. არასამთავრობო ორგანიზაცია "უფლებადამცველთა გაერთიანების" ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა, ხოლო ერთ-ერთმა სიტყვით გამომსვლელმა - "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნა. "ლიბერალის" რედაქტორმა შორენა შავერდაშვილმა კი აქციის მონაწილეებს უფლებადამცველი ორგანიზაციების მოთხოვნები გააცნო, რომელთა შორის, მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის გარდა, სახალხო დამცველის ანგარიშში ასახული პატიმართა წამების სხვა ფაქტების გამოძიებაც იყო.

ფილარმონიასთან მიმდინარე საპროტესტო აქციას რამდენიმე სასულიერო პირიც შეუერთდა. როგორც დავით გარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონმა კირიონმა განაცხადა, შემაძრწუნებელია ის კადრები, რომლებიც ტელევიზიით გავრცელდა. მისი თქმით, ყველაფერი სასამართლოს გზით უნდა მოგვარდეს. ფერისცვალების მონასტრის არქიმანდრიტ ბართლომე ფირცხალაშვილის განცხადებით კი, საქართველოს მთავრობაში სისხლის სამართლის დამნაშავეები იმყოფებიან. არქიმანდრიტმა თქვა, რომ უარი განაცხადა ციხეებში პატიმართა მონახულებაზე, რადგან არსებული ვითარების გამო, მათ ვერაფერს შველოდა. სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ მთავარი დამნაშავე ყველაზე მაღალ ეშელონებში მჯდარი პირია და ყველაფერზე პასუხისმგებლობა მან უნდა იკისროს.

მოგვიანებით ფილარმონიიდან აქცია სახელმწიფო კანცელარიისკენ დაიძრა. საპროტესტო მსვლელობის მონაწილეებმა რუსთაველის გამზირზე მდებარე "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო შტაბს ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყეს. ორგანიზატორთა განცხადებით, ცოცხალი ჯაჭვი იმ მიზნით შექმნეს, რომ მსვლელობის დროს ადგილი არ ჰქონოდა რაიმე სახის პროვოკაციას "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან.

სახელმწიფო კანცელარიასთან მისვლის შემდეგ კი, აქციის მონაწილეებმა კანცელარიის შენობაში ცოცხი შეიტანეს. დაჩი ცაგურიას განცხადებით, ცოცხი არის მიხეილ სააკაშვილის სიმბოლო და მან ეს ცოცხი უნდა გაუნაწილოს მერაბიშვილს, ახალაიას, კალმახელიძეს, შაშკინს და ყველა პასუხისმგებელ პირს. აქციას ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. კანცელარიის შენობიდან გამოსულ გურამ ჩახვაძეს მომიტინგეებმა ბოთლები დაუშინეს, წყალი შეასხეს და შეაფურთხეს. აქტივისტები ინგოროყვას ქუჩიდან ჩიტაძის ქუჩამდე ედპ-ს ლიდერს შეძახილებით - "სირცხვილი ჩახვაძე", "ხელისუფლების სატელიტო" და გინებით მისდევდნენ. ორგანიზატორები აქციის მონაწილეებს სთხოვდენ, რომ პოლიტიკოსს ხელით არ შეხებოდნენ.

გურამ ჩახვაძემ საბოლოოდ აქციის მონაწილეებისგან თავის დახსნა შეძლო. აქტივივისტები კი, ორგანიზატორების მოწოდებით, კვლავ კანცელარიასთან დაბრუნდნენ.

"ბოთლი ხომ კარგად ჩავარტყი თავში? ვინ იყო, რა ერქვა?" - მიმართა 20 წლამდე გოგონამ მეგობარს და კვლავ აქციას შეუერთდა.

კანცელარიასთანვე ინციდენტი მოხდა ჯონდი ბაღათურიასა და დაჩი ცაგურიას შორის. ბაღათურიამ ხალხს თხოვნით მიმართა, რომ მსვლელობა პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ გაგრძელებულიყო, რასაც აქციის მონაწილეების ნაწილი არ დაეთანხმა.

დაჩი ცაგურიამ ჯონდი ბაღათურიას მოუწოდა, პოლიტიკური ქულები სხვაგან დაიწეროს. ცაგურიას თქმით, ამ აქციაზე პოლიტიკური პარტიების განცხადებების ადგილი არ არის. დაჩი ცაგურიამ შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა, არსად წასულიყვნენ. აქცია სწორედ კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა და დღეს, 17:00 საათზე, ფილარმონიასთან განახლდება. ორგანიზატორთა ცნობით, მათთან შეიკრიბება ყველა ის ადამიანი, რომლებმაც გუშინ დედაქალაქის სხვადასხვა წერტილებში გამართეს საპროტესტო მიტინგები.

"დღეს ჩვენ ვიშლებით, რადგან გვჭირდება ენერგიის აღდგენა, რათა ხვალ ვიყოთ ბევრნი. ხვალ ფილარმონიასთან ყველანი გავერთიანდებით და, თუ გნებავთ, გავათენოთ პირველ ოქტომბრამდე," - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლევან ჩიტაძემ მას შემდეგ, რაც მომიტინგეების ნაწილმა დაშლაზე უარი თქვა.

გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმაც. ისინი თავდაპირველად თსუ-ს პირველ კორპუსთან შეიკრიბნენ. "ციხეში მოხვდე = ციხეში მოკვდე", "არ აწამო", "ჩვენი უზენაესი ღირებულება - ადამიანი", "გასამართლდეს ბაჩო ახალაია", "სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მაღალჩინოსან ჯალათებს", "დღეს ყველა პატიმრები ვართ", "505 - აზრის პოლიცია" - ამ და სხვა წარწერებით აპროტესტებდნენ სტუდენტები პატიმრების წამებას.

აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ისინი მიესალმებიან პოლიტიკური პარტიების სოლიდარობას, მაგრამ არ სურთ, მათი პროტესტი რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერ აქციად გადაიქცეს. თუმცა, სტუდენტთა ნაწილი აქციაზე მაინც "ქართული ოცნების" მაისურით გამოცხადდა. მოგვიანებით მათ ფილარმონიასთან შეკრებილ ხალხთან შეერთება დააპირეს, თუმცა შემდეგ გადაიფიქრეს და "საზოგადოებრივ მაუწყებელთან" გადაინაცვლეს. თსუ-ს სტუდენტებს მსვლელობაში საქართველოს უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც შეუერთდნენ. ტელევიზიასთან აქციის მონაწილე სამი სტუდენტი "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელ გიორგი ჭანტურიას შეხვდა. მათ "პირველ არხს" მიმდინარე მოვლენების სრულად გაშუქება და პატიმრების წამების ამსახველი კადრების სრულად გავრცელება მოსთხოვეს. სტუდენტების თქმით, სურთ ხმა მიაწვდინონ რეგიონის მოსახლეობას. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ რეგიონებში მოსახლეობის უმეტესობას ინფორმაცია ტელევიზიიდან აქვს და არა ინტერნეტიდან, ამიტომ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალება უნდა ჰქონდეთ. გია ჭანტურიას თქმით კი, აბსოლუტურად ყველა კადრი, რომლებიც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა, "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" გააშუქა და მომავალშიც გააშუქებს.

"ყველა ის აქტივობა, რომელიც დღეს, სხვადასხვა ადგილებზე მიმდინარეობს - ეს იქნება აქ, "მაუწყებლის" წინ, საპყრობილესთან თუ სხვა ქალაქში, მაქსიმალური სიზუსტით და ობიექტურობით გაშუქდება "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ," - აღნიშნა ჭანტურიამ.

სტუდენტების მოთხოვნებს შეუერთდა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტი ეკა კვესიტაძეც. ის "მაუწყებელთან" გამართულ აქციაზეც მივიდა და განაცხადა, რომ იზიარებს სტუდენტების მოთხოვნებს, რადგან "საზოგადოებრივი მაუწყებელი" ხალხის ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს.

"ასეთ დროს "საზოგადოებრივი მაუწყებელი" უნდა იყოს ბევრად უფრო ადეკვატური, მუშაობდეს უწყვეტ ეთერში, ჰქონდეს თოქ-შოუები და ეს თემები, რომლებიც აწუხებს საზოგადოებას, პირდაპირ ეთერში შუქდებოდეს," - აცხადებს კვესიტაძე.

სტუდენტებმა "საზოგადოებრივი მაუწყებლიდან" მოდულის შენობასთან გადაინაცვლეს და სწორედ იქ დაასრულეს გუშინდელი აქცია, რომელიც დღეს 15:00 საათზე განახლდება.

პატიმართა მხარდამჭერი აქცია გლდანის მე-8 საპყრობილესთანაც მიმდინარეობდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პატიმართა ნათესავებმა და რიგითმა მოქალაქეებმა მომხდარის გამოძიება და სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალჩინოსანთა პასუხისგებაში მიცემა მოითხოვეს.

გლდანის მე-8 საპყრობილესთან იმყოფებოდა ლალი მოროშკინა. როგორც მან აღნიშნა, მთავარი მოთხოვნა ხათუნა კალმახელიძის გადადგომა იყო, თუმცა, მისი თქმით, ეს საკმარისი არ არის.

"ყველა დამნაშავე პირმა ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს. თუ საჭირო იქნება, შიმშილობას კვლავ გავაგრძელებ. ახლა მთავარია, ჩვენი ინდივიდუალური ნაბიჯებით არ გავაფუჭოთ ჩვენი საერთო საქმე, რასაც ჰქვია 1-ლი ოქტომბრის არჩევნები. სამოქალაქო საზოგადოება შედგა და ეს არის მთავარი," - განაცხადა მოროშკინამ.

გლდანის ციხესთან შეკრებილ ადამიანებს სოსო ჯაჭვლიანიც შეუერთდა. მან ხალხს აღნიშნული პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ მოუწოდა.

გუშინ, საღამოს, გლდანის მე-8 საპყრობილესთან პატიმართა ახლობლების რაოდენობამ იმატა. საპყრობილესთან შეკრებილთ პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსმა შოთა უტიაშვილმა აცნობა, რომ გლდანის ციხეში რიგგარეშე პაემნით სარგებლობა და პატიმრების ნახვის საშუალება ახლობლებს მთელი ღამის განმავლობაში ექნებათ.

პატიმართა წამების საპროტესტო აქცია გაიმართა ბათუმშიც. აქცია სამ ადგილას მიმდინარეობდა - კოალიციამ "ქართული ოცნება" აქცია ევროპის მოედანზე გამართა, უფლებადამცველებმა და რიგითმა მოქალაქეებმა - ევროპის მოედნის მოპირდაპირე მხარეს, სასტუმრო "პრეზიდენტ პლაზას" წინ, ხოლო სტუდენტებმა პატიმართა წამება უნივერსიტეტის შენობასთან გააპროტესტეს.

პატიმრების უფლებების დასაცავად ახალციხეშიც გამოვიდნენ. "არ აწამო! არა წამებას! დავიცვათ პატიმრების უფლებები! დაისაჯოს დამნაშავე! პატივი ეცით ადამიანის უფლებებს" - ამ ლოზუნგებით სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს აპოლიტიკური აქციაა. ისინი დამნაშავეების დასჯას მოითხოვდენ.

BLACKOUT - ნათელი ბნელში

პირველი გვერდიდან

"ხილვადობა გვაძლევს იმის საშუალებას, აღვიქვათ გავარჩიოთ ბნელი ნათელისგან, ეს პირდაპირ ჩვენი განვითარების პროცესია - ვხედავთ, ვგრძნობთ და რასაც ვხედავთ, იმის მიხედვით ვვითარდებით. ეს ნამუშევრები ერთგვარი დეტალებია, რომელიც ანაბეჭდია იმ განვითარების, რასაც ვფიქრობთ და ვიკვლევთ. ვცდილობდი ვყოფილიყავი მაქსიმალურად გულახდილი. აქ არ არის არის იუმორი, ირონია, კრიტიკა. ვიყენებდი უმცირესი დეტალის გამორჩევის მეთოდს", - ამბობს მხატვარი.

სხვადასხვა ქვეყნებს და სისტემებს ერთი რამ აერთიანებს - ეს დედამიწაზე არსებული გარემოა, ბუნება, რომელიც ადამიანებს ენერგიას სძენს - კვებავს მას მენტალურად თუ ფიზიკურად. ლადო ბეროზას ნამუშევრები ამ ენერგიებზე დაკვირვების შედეგია, რომელთა შესაქმნელად მან მიმართა ბუნებაში მოპოვებულ და გადამუშავებულ მასალებს. მიწა არის ის ელემენტი, რასაც მხატვარი ხშირად იყენებს, ასევე მეტალი და ნავთოპროდუქტი, წარმოდგენილი სხვადასხვა ფაქტურით.

სამყაროს სილამაზე თუ მის მიმართ შექმნილი საფრთხე მხატვარმა შავ ფერში გვიჩვენა, გვიჩვენა უხეში მასალებით და ფორმებით. სამყაროზე დაკვირვება თუ მის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა ლადო ბეროზას შემოქმედების მთავარი მოტივია. წარმოდგენილი მასიური ნამუშევრები მხატვარმა თბილისში დაამზადა, სპეციალურად ხელოვნების მუზეუმში გამოსაფენად და ამაში ორი ასისტენტი ეხმარებოდა, სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები - მერაბ დანელია და ერიკ მიქაია, რომელიც აკადემიის პროფესორმა დავით ალექსიძემ ამ პროექტისთვის შეარჩია. სტუდენტები მხატვართან ერთად 4 თვის განმავლობაში მუშაობდნენ, მათთვის ამგვარ ალტერნატიულ პროექტში მონაწილეობა საინტერესო გამოცდილება იყო.



გამოფენის შედეგ გამოიცემა კატალოგი, რომელის მომზადების მხარდამჭერებიც არიან კულტურის სამინისტრო და მერიის კულტურული პროგრამების ცენტრი. მასზე მუშაობენ ხელოვნებათმცოდნე ხათუნა ხაბულიანი და ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი. "რომ არ ყოფილიყვნენ ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ თბილისის საგამოფენო სივრცეში თანამედროვე ხელოვნება უნდა არსებობდეს, არაფერი გამოვიდოდა"- გვითხრა ლადო ბეროზაშვილმა.

ხელოვნების მუზეუმის გამოფენების კურატორის, ლელა წიწუაშვილის თქმით კი, ეს გამოფენა რამდენიმე ასპექტით არის მნიშვნელოვანი მუზეუმისთვის: ერთი მხრივ იგი წარმოგვიდგენს უცხოეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანის შემოქმედებას, რომელსაც ქართული საზოგადოება ეცნობა. ვიცით, რომ უამრავი ქართველი არტისტი მოღვაწეობს საქართველოს გარეთ, ბევრ მათგანს აქვს წარმატება და მათ თითქმის არ ვიცნობთ. ეროვნულმა მუზეუმმა ბოლო პერიოდში მიზნად დაისახა, წარმოაჩინოს მათი ნამუშევრები ქართულ საგამოფენო სივრცეში. ამ ცოტა ხნის წინ მუზეუმმა უმასპინძლა ჰოლანდიაში მოღვაწე არისტის ირინა გაბიანის გამოფენას.

მეორე ასპექტი, რის გამოც ლადო ბეროზას გამოფენა სამუზეუმო სივრცისათვის საინტერესოა, არის ის არაორდინალური ექსპოზიცია, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას მიეკუთვნება და რომლის მსგავსიც ხელოვნების მუზეუმის სივრცეში არასდროს ყოფილა წარმოდგენილი.

"კონცეფცია, ფორმა თუ მასალა გვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ გამოხატავს მხატვარი თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი და რა განწყობას და იმპულსს უგზავნის დამთვარიელებელს. მიმაჩნია, რომ ქართველი საზოგადოება არ არის ბოლომდე მზად იმ პროცესების აღსაქმელად, რაც თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარეობს. ერთია, მოგწონს თუ არა და მეორე, რამდენად ვიცნობთ მსოფლიო სახელოვნებო ტენდენციებს, რამდენად ვართ ჩართული მასში. გამოფენაზე მოსულია დამთვარიელებელი გაეცნობა იმ მიმართულებებს, რაც დღეს თაამედროვე ხელოვნებაში სუფევს. საქართველოში კონცეპტუალური არტი ნაკლებად არის განვითარებული, თუმცა კი ხელოვნების ფესტივალები და მსგავსი გამოფენები აძლევს დამთვარიელებელს საშუალებას, მიიღოს იგი და ჩამოუყალიბდეს მისი აღქმის კულტურა", - აღნიშნავს ლელა წიწუაშვილი.

თანამედროვე ხელოვნება ერთგვარი ფუფუნებაა ქართულ სივრცეში, რისთვისაც ფინანსური პრობლემების გამო ქართველი მხატვრები თავს არ იმეტებენ, დონორი ინსტიტუციები კი - თანხებს. ხელოვნების მუზეუმში დღეს წარმოდგენილი ექსპოზიცია საუკეთესო საშუალებაა დიალოგი გავმართოთ იმ ევროპულ ხელოვნებასთან, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს დასავლური არტისტული სივრცის ტენდენციებსა და ამოცანებს. დამთვარიელებელს მისი ნახვის საშუალება ხელოვნების მუზეუმში 12 ოქტომბრამდე ექნება.

მომავლის თანამედროვე სტუმარი

ცენტრალურმა საბავშვო თეატრმა ახალი სეზონი გახსნა

ია ვეკუა

თითქმის ერთი კვირაა, რაც თბილისი საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალის პროგრამაში, საერთაშორისო სპექტაკლების გარდა, ქვეყნის თითქმის ყველა თეატრის ნამუშევრებია წარმოდგენილი. მათ შორისაა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი, რომელმაც გუშინ არა მხოლოდ საფესტივალო სპექტაკლი წარმოადგინა, არამედ სეზონიც გახსნა - თეატრის მცირე სცენაზე ნიკუშა ანთაძის პიესის მიხედვით დადგმული "სტუმარი" ვნახეთ.

"სტუმარი" მცირე მასშტაბისა და ასეთივე ხანგრძლივობის მსუბუქად ირონიული და საკმაოდ მხიარული დადგმაა, რომელიც ერთნაირი დოზით შეიცავს სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტებსაც, რომანტიკული კომედიისთვის დამახასიათებელ უხერხულ მომენტებსაც და ზემოთ ნახსენებ ირონიასაც, რომელიც ხან ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესის ილუსტრაცია გახლავთ, ხანაც - პოლიტიკური პროცესებისა. თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან ნუ შეგაშფოთებთ და შვილები თამამად გაუშვით "სტუმრის" სანახავად. წადით თქვენც - სულ მცირე, იმის სანახავად მაინც, თუ როგორ აშარჟებს შვილების თაობა საკარაუდო მომავალს.

ნიკუშა ანთაძის ნაწარმოების მთავარი გმირი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დამწყები მწერალი გიორგი კაპანაძე, მეტსახელად კაპოა. სპექტაკლი კაპოს გამოღვიძებით იწყება. კაპო ნაბახუსევზეა, წინა საღამოდან არაფერი ახსოვს, გარდა საპირფარეშომდე მიმავალი გზისა. სწორედ საპირფარეშო წარმოადგენს ერთგვარ პორტალს, საიდან გამოსვლასაც კაპოს უცნაური თავგადასავალი მოჰყვება. საპირფარეშოდან გამოსული სულ სხვა სახლში, სხვა ნივთებისა და უცხო ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდება, რომლებთან ჯერ უსიამოვნო, შემდეგ კი მამაშვილური საუბრიდან ასკვნის, რომ გარეთ არა 2012, არამედ 2032 წელია... სწორედ აქ იწყება მთავარი ირონია, რადგან მოვლენების ფანტასტიკური განვითარების მოლოდინში გარინდული მაყურებელი აღმოაჩენს, რომ 20 წლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა: გოგონა კვლავ მშობლების უჩუმრად ეწევა სიგარეტს; მაისურსა და მისი ამხანაგის ამარა უცხო ოჯახში აღმოჩენილი კაპო გოგონას დედის გულყრის მიზეზი ხდება, რომელიც სასოწარკვეთილი წუხს, რომ ამ ფაქტის გამო მის ქალიშვილს აღარავინ ითხოვს; პატარა ბიჭუნას კვლავაც "ბარსელონას" ფეხბურთელთა მაისური აცვია და როცა გაიზრდება არა ქუთაისის "ტორპედოში" ან გორის "დილაში", არამედ სწორედ კატალონიურ კლუბში სურს თამაში. ბევრი რამ არც სახელმწიფო წყობის მხრივ შეცვლილა და ეს ალბათ მთელი სპექტაკლის ყველაზე სევდიანი წინასწარმეტყველებაა - ავტორიტარული ვნებებით შეპყრობილი ავტორი საკუთარ თავს საპრეზიდენტო არჩევნებში მეხუთე ნომერს ანიჭებს და სწორედ ის გახლავთ ჩვენი მასპინძელი ოჯახის ერთადერთი არჩევანიც...

დადგმის უდავო ვარსკვლავი არაჩვეულებრივი ნინო ლეჟავაა, რომელიც ძალიან კარგად ქმნის ტიპური ქართველი დედის სახის პატარა, თუმცა ძალიან სახასიათო ფრაგმენტს. მის გარდა, სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ გიორგი ჩიქობავა, ნინო არჩაია, მერაბ მაისურაძე, სოსო ხაინდავა და რატი მხეიძე. სპექტაკლის რეჟისორია გოგა ქაჩიბაია, დამდგმელი მხატვარი - სოფო კიკაბიძე, მუსიკა კი დავით მალაზონიას ეკუთვნის.

რუსეთის ტერიტორიაზე USAID-ს საქმიანობა აეკრძალა

რუსეთის დიპლომატიური უწყების განცხადებით, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ი გრანტების გაცემით რუსეთის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას აპირებდა. აღნიშნულით რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი გადაწყვეტილება ახსნა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე USAID-ის საქმიანობის აკრძალვას ეხება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ ლუკაშევიჩის თქმით, მოსკოვმა სააგენტოს საკუთარი საქმიანობის დასრულების ვადა 1 ოქტომბრამდე მისცა: "რუსეთის რეგიონებში სააგენტოს საქმიანობამ სერიოზული კითხვები დაბადა. განსაკუთრებით კი, საქმე ჩრდილოეთ კავკასიას ეხება, რის შესახებაც ჩვენ არაერთხელ გავაფრთხილეთ ჩვენი ამერიკელი კოლეგები," - საუბარია რუსეთის დიპლომატიური უწყების განცხადებაში. საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავდროულად განაცხადა, რომ მზადაა, ითანამშრომლოს USAID-თან მესამე ქვეყნებში, რომლებსაც ჰუმანიტარული დახმარება ძალიან სჭირდებათ.

რუსი უფლებადამცველები ამ ფაქტს საგანგაშოდ მიიჩნევენ. ასოციაცია "გოლოსი" აღნიშნავს, რომ სააგენტოს გასვლის შემდეგ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ასევე, გარემოს დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარი პროექტებისათვის დონორების მოძებნა ძალიან გაუჭირდებათ. უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ USAID-ის ქვეყნიდან გასვლით არასასიამოვნო პრეცედენტი შეიქმნება. ზოგიერთი შიშობს, რომ USAID-ის ბედს სხვა უცხოური არაკომერციული ორგანიზაციებიც გაიზიარებენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმაც გააკეთა: "ჩვენ რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ. ჩვენ ძალიან ვამაყობთ იმით, რასაც USAID-მა რუსეთში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მიაღწია." USAID-ი ჯონ კენედის დაარსებულია 1961 წელს. ეს არის აშშ ფედერალური მთავრობის მიერ საზღვარგარეთის სახელმწიფოებისთვის დახმარების გასაწევად შექმნილი სტრუქტურა და იგი სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია. რუსეთში USAID-ი 1992 წლიდან მუშაობს.

პანეტა ჩინეთის ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

ჩინეთში ვიზიტით მყოფი ამერიკის თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტ სი ძინპინს შეხვდა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ამერიკელი მინისტრის ვიზიტი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისა და სამხედრო კავშირების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

პანეტა თავის ჩინელ კოლეგასაც შეხვდა, რომელსაც ამერიკასთან სამხედრო კავშირების გაფართოებისაკენ მოუწოდა.

ორი კვირის განმავლობაში სი ძინპინი საჯაროდ არ გამოჩენილა და რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრას არ დაესწრო. სი ძინპინს ჩინეთის ლიდერად, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოსათვის დაასახელებენ. ცნობისათვის, ლეონ პანეტა ჩინეთს პენტაგონის ხელმძღვანელის რანგში პირველად ეწვია.

დამასკოში სამთავრობო ძალებმა იერიში განაახლეს

გუშინ დამასკოში სამთავრობო ძალებსა და ოპოზიციის ჯგუფებს შორის შეტაკება განახლდა. არსებული ინფორმაციით, სამთავრობო ძალებმა ოპოზიციის პოზიციებზე იერიში მიიტანეს. ოპოზიციის თქმით, მძიმე მდგომარეობაშია ადგილობრივი მოსახლეობა, ვინაიდან სამთავრობო ძალები ყველა მიმართულებით გააადგილდებიან და ტერიტორიას ბომბავენ. სამხედრო მოქმედებები, დედაქალაქის გარდა, ქვეყნის უმსხვილეს ქალაქში - ალეპოშიც განახლდა. სირიაში დაპირისპირება წელიწადზე მეტია გრძელდება, რასაც, გაერო-ს მონაცემებით, 16 000 ადამიანი ემსხვერპლა. ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ასახელებენ უფრო დიდი ციფრს - 20-დან 25 ათას კაცამდე.

ობამა რომნის აკრიტიკებს

სპონსორებთან სადილობის დროს გაკეთებული განცხადების გამო, რის შესახებაც ფართო საზოგადოებისთვის გუშინწინ გახდა ცნობილი, ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი რესპუბლიკელი მეტოქე მიტ რომნი გააკრიტიკა. ობამას თქმით, ამერიკის პრეზიდენტი მხოლოდ ის ადამიანი უნდა გახდეს, რომელიც მზად იქნება, მთელ მოსახლეობას ემსახუროს და არა - "ცალკეულ ჯგუფებს." ობამას ეს კომენტარი რომნის გამონათქვამს მოჰყვა, რომელმაც მოსახლეობის ის 47 პროცენტი, რომელიც ობამას უჭერს მხარს, "მსხვერპლად" მოიხსენია (ამის შესახებ გუშინ დაწვრილებით წერდა "24 საათი").

უკანასკნელი გამოკითხვების მიხედვით, ობამასა და რომნის თანაბარი რაოდენობა - 47 პროცენტი უჭერს მხარს. ზოგი გამოკითხვით კი, ობამა სამი პროცენტით არის წინ. ეს ნიშნავს, რომ ძალები დაახლოებით თანაბარია და რომელიმე მხარე მცირე უპირატესობის მიღწევას მხოლოდ ტელედებატების საშუალებით მოახერხებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ფრანგული "CHARLIE HEBDO"-ს კარიკატურების შედეგები

პირველი გვერდიდან

ინტერნეტგამოცემა "Straits-time"-ის თანახმად, სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი იაფფასიანი ფილმია "Charlie Hebdo"-ს სამიზნე, მაგრამ ბევრმა, შესაძლოა, კარიკატურებს განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს და სატირა ზუსტად არ იქნეს გაგებული. საელჩოებს, საკონსულოებს, კულტურის ცენტრებსა და სკოლებს საფრანგეთი ისლამურ ქვეყნებში პარასკევს დროებით დახურავს, რადგან პროტესტის ტალღა სწორედ პარასკევის ლოცვის დასრულების შემდეგ არის მოსალოდნელი.

კაიროში საფრანგეთის საელჩოსთან დაცვა დააყენეს

ყოველკვირეული გამოცემის ნომერი კი გუშინ თაროებზე გამოჩენისთანავე უმოკლეს დროში გაიყიდა. ჟურნალის თავფურცელზე გამოსახული იყო ტიურბანში გამოწყობილი მუსლიმი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ეტლში იჯდა და ორთოდოქს იუდეველს მიჰყავდა. ილუსტრაცია დასათაურებული იყო სახელწოდებით "ხელშეუხებლები 2" და ერიკ ტოლედანოსა და ოლივიე ნაკაშის ფილმის "ხელშეუხებლების" ალუზიას წარმოადგენდა. რაც შეეხება ჟურნალის შიდა ფურცლებზე დატანილ კარიკატურებს, იქ წინასწარმეტყველი მუჰამედი შიშვლად იყო გამოსახული. კარიკატურები განთავსებული იყო რუბრიკაში "ფუნდამენტალიზმი," სათაური კი სიტყვა-სიტყვით ითარგმნებოდა, როგორც "მუჰამედი იღებს კინოს".

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გაცხადებას მალევე მოჰყვა პრემიერ-მინისტრის ჟან-მარკ აიროს შეფასებაც, რომელმაც ჟურნალის რედაქციის მოქმედება დაგმო, მაგრამ იქვე ისიც აღნიშნა, რომ საფრანგეთში მოქმედებს სიტყვის თავისუფლება, რაც კარიკატურების თავისუფლებასაც ნიშნავს. ყოველკვირეული გამოცემის ვებგვერდზე კი ჰაკერებმა იერიში მიიტანეს და დილიდან საიტი გაითიშა. განცხადება გამოცემის მთავარმა რედაქტორმა სტეფან შარბონიემაც გააკეთა. მისი თქმით, კარიკატურებმა ის ხალხი ჩააგდო შოკში, ვისაც სურს, იყოს გაოგნებული. შარბონიე დარწმუნებულია, რომ სკანდალური ნახატები არეულობების მხოლოდ საბაბია და არა - მიზეზი. ტელეარხ "აიტელესთან" საუბარში მთავარმა რედაქტორმა აღნიშნა, რომ თუ გამოცემას ნახატებში არჩევნის გაკეთება იმ პრინციპით მოუწევს, რომ "ვინმე არ გავანაწყენოთ," მაშინ მკითხველი 16 ცარიელი ფურცლის გადაშლას უნდა დასჯერდეს.

ფრანგული სატირული ჟურნალის მორიგ ნაბიჯს არამარტო მკაცრი კრიტიკა, დაცვაც მოჰყვა, როგორც ამას სოციალური ქსელის "Facebook"-ის გვერდზე კომენტარები მოწმობს. ამ კარიკატურებმა განაპირობა აგრეთვე ოფიციალური პარიზის გააქტიურება სხვა სახელწიფოებში საკუთარი მოქალაქეების დასაცავად. კარიკატურებმა კიდევ უფრო გაამწვავა რელიგიურ ნიადაგზე პროვოკაციების შესაძლებლობა, მით უფრო, რომ ფილმ "მუსლიმთა უმანკოების" გამო გამოსვლები ამ დრომდე გრძელდება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ "Charlie Hebdo"-სთვის პროვოკაციული შინაარსის კარიკატურების გამოქვეყნება უცხო არ არის. ანალოგიურ ქმედებაზე რედაქცია 2006 და 2011 წლებშიც წავიდა და ბოლო შემთხვევას პარიზში მდებარე შტაბინის დარბევაც მოჰყვა.

ჟირინოვსკი დიპლომატიური სკანდალის ცენტრში

სალომე ჭანიაშვილი

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური სკანდალის მიზეზი გახდა, რომელშიც ჩართულები აღმოჩნდნენ სომხეთი და უნგრეთიც. ურთიერთობების გარკვევა დიპლომატიურ დონეზე უკავშირდება ბუდაპეშტის მხრიდან ბაქოში აზერბაიჯანელი ოფიცრის ექსტრადაციის საკითხს, რომელმაც სომეხი კოლეგა მოკლა (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა "24 საათი"). მკვლელი სამშობლოში შეიწყალეს და დააწინაურეს კიდეც. ეს ყველაფერი კი, ჟირინოვსკის აზრით, "ამაზრზენია" და სისხლის აღების მიზეზს იძლევა. ლიბერალ-დემოკრატის ამ ემოციურმა განცხადებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის ელჩი აზერბაიჯანში.

ელჩი ვლადიმირ დოროხინი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხალაფ ხალაფოვმა მას საპროტესტო ნოტა გადასცა. საპროტესტო ნოტა დუმის ფრაქციის ლიდერის განცხადებას უკავშირდებოდა. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ჟირინოვსკის ეს განცხადება ხალხს ეთნიკური სიძულვილისკენ უბიძგებს, ასევე, მოსკოვისა და ბაქოს მეგობრობას ჩრდილს ჰფენს. აზერბაიჯანში უკვე ელიან ხელისუფლებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის კომენტარს.

სკანდალის მიზეზი გახდა ჟირინოვსკის გამოსვლა სომხური საზოგადოების მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციაზე, რომელიც 14 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა. აქცია ეძღვნებოდა უნგრეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას რამილ საფაროვის სამშობლოში ექსტრადიციის თაობაზე, რომელსაც 2004 წელს ბუდაპეშტში სომეხი ოფიცრის გურგენ მარქარაიანის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. აქციაში მონაწილეობა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრებმაც გადაწყვიტეს.

"მე მოვედი, რათა სოლიდარობა გამოვხატო ყველა სომეხის მიმართ. მე ვფიქრობ, რომ ამაზრზენია მსგავსი ქმედებები, როდესაც მკვლელს ათავისუფლებენ, ყველაფერს პატიობენ, უბრუნებენ ყველა წოდებას, პოზიციებს და თითქმის დღესასწაულს უწყობენ," - განაცხადა ჟირინოვსკიმ. მისი განცხადებით, უნგრეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება პატიმრის ექსტრადიციის თაობაზე განპირობებული იყო ეგოისტური მოტივებით და რომ შესაძლოა, სიტუაციას კონფლიქტის ესკალაცია, სისხლის აღება და დამნაშავის მკვლელობა მოჰყვეს, რაც შემდგომი მკვლელობების სერიას გამოიწვევს.

"მოდით, ამაზე სპეცსამსახურებმა იმუშაონ იმისთვის, რომ სომხეთის სპეცსამსახურებს შეეძლოთ დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა ისე, რომ შემდგომში არ მოხდეს მკვლელის გათავისუფლება. ეს მთლიანად სპეცსამსახურების სამუშაოა. ასეთ შემთხვევაში მსგავსი ქმედებებისთვის ხელის შეშლა შესაძლებელი იქნება. შეიძლება მიანიშნონ, რომ თუ მოკლავთ სომეხს, 5 მდიდარი ადამიანი გაგიქრებათ... მაშინ რას გააკეთებენ? იფიქრებენ, რომ თუ ჩვენ მათ ვუშველით, შვილებს წაგვართმევენ. შესაძლოა ყუმბარის აფეთქების შედეგად მთელი რაზმი დაიღუპოს. სურვილის შემთხვევაში საშუალება გამოინახება," - განაცხადა დეპუტატმა.

მისი სიტყვების შედეგად მოსკოვსა და ბაქოს შორის აგორებულ სკანდალზე ჟირინოვსკის კომენტარი არ გაუკეთებია. მომხდარზე ოფიციალურ განცხადებას ჯერ არც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ მოსკოვში უკვე ჩატარდა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორ კარასინსა და აზერბაიჯანის ელჩ ფოლად ბიულ-ბიულ ოღლის შორის, თუმცა კონკრეტულად რა საკითხებზე ისაუბრეს, ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება ჯერ არ გავრცელებულა.

აზერბაიჯანის მმართველი პარტიის "ენი აზერბაიჯანის" განცხადებით, ლიდერის ასეთი ქმედებები დაკავშირებულია "მის თავში არსებულ პრობლემებთან". მათ ასევე ხაზი გაუსვეს მის ურთიერთობას სადამ ჰუსეინთან, მუამარ კადაფისთან და მათ სამწუხარო ბედთან. "ყველასთვის, ვისთანაც მეგობრობდა და ვისაც რჩევებს აძლევდა პროვოკატორი-პოლიტიკოსი, დასასრული სავალალო აღმოჩნდა," - განაცხადა პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ალი ახმედოვმა. აზერბაიჯანის პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა ზიაფეტ ასკეროვმა ჟირინოვსკის "კლოუნი" უწოდა, რომელმაც ყველა ზღვარს გადააბიჯა. "ეს მართლაც ჭკუიდან გადასული პოლიტიკოსი არა მხოლოდ მოუწოდებს ტერორისკენ, არამედ განუმარტავს სომხებს აზერბაიჯანელების მოკვლის "ტექნოლოგიას," - განაცხადა მან.

საკუთარი მოსაზრება მომხდარზე დასავლეთმაც გამოთქვა, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა საფაროვის გათავისუფლების იდეა. ევროპარლამენტმა, თავის მხრივ, მიიღო რეზოლუცია, სადაც შეშფოთება გამოთქვა, რომ დამნაშავის მიმართ ასეთმა რბილმა მოქცევამ, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობებზე და საფრთხის ქვეშ დააყენოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესი.

2004 წლის 19 თებერვალს სომხეთის არმიის ლეიტენანტი გურგენ მარქარიანი, რომელიც ბუდაპეშტში ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის კურსების გასავლელად იყო გაგზავნილი, ნაჯახით მოკლა საფაროვმა, რომელიც ამავე პროგრამის ფარგლებში მასთან ერთად იმყოფებოდა. 2006 წლის 13 აპრილს ბუდაპეშტის პირველი ინსტანციის სასამართლომ საფაროვს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, 30 წლის განმავლობაში ყოველგვარი შეწყალების გარეშე. 2007 წლის თებერვალში სააპელაციო სასამართლომ გაანაჩენი უცვლელად დატოვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 2012 წლის 31 აგვისტოს საფაროვი ექსტრადირებულ იქნა აზერბაიჯანში, სადაც ის ქვეყნის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა შეიწყალა.

ენდი მარის პერსპექტივა

ენდი მარის გამარჯვებამ US Open-ზე ააგორა მის კარიერულ პერსპექტივებზე მსჯელობის ახალი ტალღა. ბრიტანული სააგენტოს BBC-ს მიმომხილი საიმონ ოსტინი დაინტერესდა წარსულში განთქმული ჩოგბურთელების, ავსტრალიელი პატ კეშისა და შვედი მათს ვილანდერის აზრით ამ საკითხზე.

ენდი მარიმ ერთეულთა რეიტინგში მესამეა

დაპირისპირება გრანდებთან

ენდი მარი მთელი თავისი კარიერის განმავლობაში იმყოფებოდა "დიდი სამეულის", ნოვაკ ჯოკოვიჩის, რაფაელ ნადალისა და როჯერ ფედერერის ჩრდილში, რომლებმაც მოიპოვეს Grand Slam-ის პრაქტიკულად ყველა ტიტული უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში - ბოლო ტურნირამდე, ოცდაათიდან 29 მეიჯორი მათი საკუთრება იყო. მაგრამ დღეს, US Open-ზე ენდი მარის გამარჯვების შემდეგ, წარსულში ცნობილი სპორტსმენები, ამ ეტაპზე კი ჩოგბურთის მიმომხილველები მათს ვილანდერი და პატ კეში დარწმუნებულები არიან, რომ ბრიტანელი დაეწევა ლიდერებს და დიდი ტრიო გადაიქცევა სრულფასოვან დიდ კვარტეტად.

"ფედერერი უკვე ოცდათორმეტი წლის არის, თუმცა მას გაეხსნა მეორე სუნთქვა. რასაკვირველია, მას ექნება კიდევ წარმატებული ტურნრებიდა მატჩები, ისეთი როგორიც იყო უკანასკნელი უიმბლდონი, მაგრამ მათი რაოდენობა აღარ იქნება იმდენივე, რაც ადრე, - ამბობს კეში BBC-სთან ინტერვიუში - რაც შეეხება მარის და ჯოკოვიჩს, მათი ურთიერთდაპირისპირება მიმდინარეობს თითქმის თანაბრად, ენდიმ კი უკვე დაამტკიცა, რომ შეუძლია ნოვაკის დამარცხება დიდი სლემის ტურნირის ფინალში, თანაც მის საყვარელ საფარზე, ჰარდზე."

ენდისთან წაგებამდე ჯოკოვიჩმა Grand Slam-ის ტურნირებზე, მოიგო ზედიზედ 27 მატჩი ჰარდზე და ყველაფერს მშვიდად აკეთებდა. რაღაცეები შეიცვალა და მარიმ იცის, რომ დიდი ბიჭების გაგდება, დაღლა შესაძლებელი და რეალურია.

ამ გამარჯვებით მარი გახდა რეიტინგის მესამე ნომერი და გაუსწრო რაფაელ ნადალს, თუმცა კი პირად დაპირისპირებაში ლიდერობს ესპანელი. ანგარიშია 13:5. რაფაელმა მოიგო მეიჯორებზე ექვსი შეხვედრა რვიდან. აღსანიშნავია, რომ ნადალისთვის მთავარი პრობლემა შეიძლება გახდეს საკუთარი ორგანიზმი. Grand Slam-ის ტურნირების თერტმეტგზის გამარჯვებულმა მუხლის ტრავმის გამო უკვე გამოტოვა ოლიმპიური თამაშები და US Open. დიდი შანსია, რომ კიდევ გამოტოვოს რამდენიმე ტურნირი ჰარდის კორტებზე, რადგან საფარის ეს ტიპი ნეგატიურად აისახება მის მუხლებზე.

"ენდის გაუჭირდება გაუმკლავდეს ნადალს, მაგრამ რაფაელს სერიოზული პრობლემები აქვს ტრავმის გამო - აღნიშნავს კეში - ესპანელის თამაშის სტილი გულისხმობს მუხლების არანორმალურ დატვირთვას. ამავე დროს, მან უკვე გამოტოვა ბევრი ტურნირი."

"ნადალი თითქმის არ აგებს გრუნტზე. რაფაელმა ისწავლა მომთმენი ჩოგბურთის თამაში ბალახზე და გამძლეობით იგებს, - ეთანხმება უიმბლდონის 1987 წლის ჩემპიონს, მისტერ კეშს ვილანდერი - მაგრამ ჰარდზე რაღაც პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. ნადალს იგებდა გამძლეობით და ამ კომპონენტში ჯოკოვიჩი და მარი დღეს ესპანელზე კარგად არიან მომზადებულები.. ამან შეიძლება სერიოზულად შეუშალოს ხელი რეიტინგის პირველ ადგილზე დაბრუნებაში."

რაც შეეხება ვაჟთა ჩოგბურთის ახალგაზრდა წარმომადგენლებს, კეში და ვილანდერი ვერ ხედავს მათ შორის დიდი ოთხეულის პოტენციურ კონკურენტს.?

შემდგომი განვითარების გზები

ვილანდერის აზრით, ფინალებში ოთხი მარცხის შემდეგ, ამ გამარჯვებამ სერიოზული ბიძგი უნდა მისცეს მარის კარიერის შემდგომ განვითარებას.

"ჩვენ ვიცით, რომ ენდი ისეთივე ძლიერია, როგორც დანარჩენი ლიდერები. ერთადერთი, რაც მას აბრკოლებდა, იყო მენტალიტეტი, ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომ მას არასდროს ჰქონდა მოგებული მეიჯორი და ეს პრობლემა მოსაგვარებელი იყო- თვლის შვედი - ჯოკოვიჩისგან ფინალის წამოღება მოუხსნის ამ ზეწოლას, მისცემს საკუთარი თავის რწმენას."

"ჯოკოვიჩთან მატჩის მეხუთე სეტში, მის საკუთარ ნათქვამს თუ გავიმეორებთ, ენდი ძლივს იდგა ფეხზე, ეცემოდა. - იხსენებს კეში - ეს იყო არა მარტო დაღლა, არამედ ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც. Grand Slam-ის ტურნირში პირველი გამარჯვება რასაკვირველია, დაეხმარება მას ბევრი პრობლემის დაძვიწყებაში."

ავსტრალიელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წლევანდელ სეზონში მარის თამაშის აგრესიულმა სტილმა და თვლის, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტის გაკეთება შეუძლია.

"ენდიმ უფრო აგრესიულად თამაშობს, აღარ დგას მხოლოდ უკანა ხაზთან ახლოს - აღნიშნავს კეში - ეს მას საშუალებას აძლევს. უფრო ადრე დახვდეს ბურთს და უფრო მეტი გავლენა იქონიოს თამაშის მსვლელობაზე. ადრე ის უბრალოდ იხევდა უკან და ელოდებოდა, სანამ მოწინააღმდეგე თვითონ დაუშვებდა შეცდომას(მან უფრო ხშირად დაიწყო ბადესთან გასვლაც, თუმცა ჯოკოვიჩთან თამაშისას ნაკლებად იყენებდა ამ კომპონენტს. ენდი მშვენივრად იგერიებს ბურთს ჰაერში, მინაზე დაუშვებლად და ეს ილეთი საშუალებას მისცემს გაამრავალფეროვნოს საკუთარი თამაში. მარი შეიცვალა და მარი უკეთესია."

ლენდლის ფაქტორი

ივან ლენდლს დიდი ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ ენდიმ, როგორც იქნა, მოიგო თავისი პირველი მეიჯორი. შეუძლია მწვრთნელს გაუკვალოს ბრიტანელს გზა ახალი გამარჯვებებისკენ?

"მწვრთნელების როლს ხშირად გადაჭარბებით აფასებენ. ეს მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ვინაიდან თვითონ ვმუშაობდა მარკ ფილიპუსისთან, როდესაც მან მიაღწია US Open-ის ფინალს და თამაშობდა დევისის თასის გადამწვეტ მატჩში, - ამტკიცებს კეში, რომელმაც 1987 წლის უიმბლდონის ფინალში დაამარცხა სამ სეტში ლენდლი, - მაგრამ ამ სიტუაციაში ივანის ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი. ენდის სჭირდებოდა მწვრთნელი, რომელიც ურჩევდა, წაიყვანდა სწორი მიმართულებით; ივანი ზუსტად ასეთი ადამიანია. მან შთაუნერგა მარის რწმენა, სიმშვიდე და გულუხვად უზიარებდა თავის კოლოსალურ გამოცდილებას(ისევე, როგორც მარიმ, ლენდმაც თავის დროზე, წააგო მეიჯორის ოთხი ფინალი, მაგრამ შემდეგ გაიმარჯვა Grand Slam-ის რვა ტურნირში და წლების მანძილზე დომინირებდა პრო ტურზე."

"აქტიური კარიერის დროს ივანი არ დაკმაყოფილდა Grand Slam-ის პირველი ტურნირის მოგებით და თამაშისადმი ასეთ დამოკიდებულებას უღვივებდა შემდგომში მარის. - აღნიშნავს კეში - ლენდლიც გამოდიოდა ტექნოლოგიების, კორტის საფარის, ვარჯიშისა და მომზადების მეთოდიკების გრანდიოზული ცვლილებების ეპოქაში და ყოველთვის იყო საუკეთესო. დარწმუნებული ვარ, რომ მარისთან მუშაობისას ის თანდათან დანერგავს უმნიშვნელო ცვლილებებს, რომლებიც შემდგომ გამოიწვევენ სერიოზულ თვისებრივ ნახტომს არა მარტო ენდის, სხვა ლიდერების თამაშის სტილშიც."

რა იქნება მომავალში?

"ვთვლი, რომ მარი შეძლებს Grand Slam-ის ხუთი-ექვსი ტურნირის მოგებას - ამტკიცებს კეში - რასაკვირველია, ეს იქნება Australian Open და უიმბლდონი. შესაძლოა, ეს მოხდეს უკვე მომავალ სეზონში; და კიდევ, უახლოეს მომავალში ენდი გახდება მსოფლიოს პირველი ნომერი."

ვილანდერის აზრით, "ამ ეტაპზე ენდისთვის შეიქმნა საუკეთესო სიტუაცია, როდესაც მას შეუძლია შევიდეს გამარჯვებულთა წრეში და გახდეს მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერი. ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც შეუშლის ხელს ექვსი-შვიდი მეიჯორის მოგებაში. ის ისეთივე ძლიერია, როგორც დანარჩენი სამი გრანდი და წარმატებით შეუძლია თამაში ნებიმიერ საფარზე. ლენდლი და მარი ბევრს მიაღწევენ."

ობამას მრჩეველი გრანტ ჰილი

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ახალწვეულმა გრანტ ჰილმა ჟურნალისტებს ახალ გუნდთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები გაუზიარა, გაიხსენა თავისი კარიერის სხვადასხვა ეტაპი და მოყვა, თუ რა ურთიერთობა აქვს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან.

- ზაფხულში "სანსიდან" "კლიპერსში" გადახვედით. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები ახალ გუნდზე?

- გასული სეზონი ამ გუნდისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. "კლიპერსის" ხელმძღვანელებმა იყიდეს ორი ძალიან კარგი მოთამაშე - ჩონსი ბილაპსი და კრის პოლი. რაც შემეხება მე, კარგად მესმის, რომ ასაკოვანი კალათბურთელი ვარ, მაგრამ ახალ ვითარებაში მოხვედრა ჩემზე ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანზე. როდესაც საცხოვრებლად ახალ სახლში შედიხარ, აუცილებლად დაგეუფლება რაღაც სასიამოვნო გრძნობა.

- როდესაც კალათბურთელი კლუბს იცვლის, ის ხშირად კოლეგებს სთხოვს რჩევას. თქვენს შემთხვევაშიც ასე იყო?

- დიახ. ის, რომ დიდი ხანია ლიგაში ვარ, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ NBA-ს კარგად ვიცნობ. ასეთი გადაწყვეტილების მიღებით მე ჩემი ოჯახის წინაშეც ვარ პასუხისმგებელი. ამიტომ ყველაფერი უნდა ამეწონ-დამეწონა და რჩევა მეკითხა იმ ადამიანებისთვის, ვისიც მჯერა. ასეთი კი ჩონსი ბილაპსია. ის იყო პირველი, ვისაც "კლიპერსში" გადასვლის თაობაზე ვესაუბრე.

- რატომ მაინცდამაინც "კლიპერსი"? ბევრს ეგონა, რომ თქვენს ძველ თანაგუნდელს, სტივ ნეშს შეუერთდებოდით. არც ის მალავდა, რომ თქვენი გადაბირება სურდა.

- ასეთი საუბრები ყოველთვის იქნება. როდესაც სხვა გუნდში გადადიხარ, აუცილებელია, რომ იმ გუნდში იყოს ადამიანი, რომელიც ნამდვილად დაინტერესებულია შენით. მწვრთნელმა დელ ნეგრომ დამარწმუნა, რომ "კლიპერსში" საჭირო ვიქნებოდი.

- 90-იან წლებში მის წინააღმდეგ თამაშობდით, ახლა კი ის თქვენი მწვრთნელია...

- დიახ. და ამის გამო, ცოტა არ იყოს, არაერთგვაროვანი გრძნობა მეუფლება. თუმცა, ეს გრძნობა უარყოფითი არ არის. ვინი ჭკვიანი კალათბურთელი იყო, იცოდა თავისი ძლიერი მხარეები და მათ ბოლომდე იყენებდა. მე მას დიდ პატივს ვცემ. ზოგს ეჭვი ეპარება მასში და მის კვალიფიკაციაში, მაგრამ გასულ სეზონში მან დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეუძლია და კარგი მწვრთნელია.

- NBA-ში თამაში 1995 წელს დაიწყეთ და სადებიუტო სეზონში "ოლ სტარში" მოხვდით. მიღებული ხმების მიხედვით, დებიუტანტებისთვის რეკორდიც დაამყარეთ. მას შემდეგ თითქმის 18 წელი გავიდა. რა შეიცვალა ლიგაში?

გრანტ ჰილისთვის პირველ ადგილზე კალათბურთი რჩება

- თითქმის ყველაფერი. თამაში უფრო კონტაქტური გახდა, მცველები გაცილებით ხისტად თამაშობენ. ადრე დიდი კალათბურთელები უფრო ვიწროპროფილიანები იყვნენ: ფარიდან ბურთის მოხსნა და სამწამიანში თამაში. ახლა კი არიან ისეთი კალათბურთელები, როგორიცაა დირკ ნოვიცკი, კევინ ლავი, ანდრეა ბარნიანი. ისინი სამწამიანის ზონიდანაც იდეალურად უტევენ. ფინანსების მნიშვნელობა საოცრად გაიზარდა. მოკლედ, კალათბურთის ახალი თაობა წამოვიდა. ეს არც კარგია და არც ცუდი. ასე უნდა იყოს. ცხოვრება იცვლება და, ცხადია, მასთან ერთად კალათბურთიც შეიცვლება.

- ბევრს მიაჩნია, რომ კარიერის დასაწყისში გრანტ ჰილი შეუჩერებელი იყო და მის წინააღმდეგ ყველას უჭირდა თამაში. როდესაც ასეთი რამ გესმით, რას ფიქრობთ?

- დეპრესიაში ვვარდები. შეიძლება ითქვას, რომ, ერთის ნაცვლად, სამი კარიერა მქონდა. "დეტროიტში" უმაღლეს დონეზე ვთამაშობდი, ყოველწლიურად უკეთესი ვხდებოდი. როდესაც ახალგაზრდა ხარ და შეგიძლია მოედანზე დომინანტი იყო, ამას დიდად არ აფასებ. შემდეგ იწყება ტრავმები და იწყებ ფიქრს. უფრო მნიშვნელოვან რამეზე ფიქრობ, ვიდრე თამაშში 30 ქულის დაგროვებაა. ასეთი ეტაპი მქონდა "ორლანდოში", სადაც ტრავმების გამო თითქმის არ მითამაშია. შემდეგ გადავედი "ფინიქსში", სადაც კალათბურთზე ჩემს შეხედულებებს გადავხედე. უკეთ დავიწყე თამაში დაცვაში. უცნაური გრძნობაა, როცა 37 წლის ასაკში შენთვის რაღაც ახალს აღმოაჩენ.

- თქვენ ძალიან მრავალფეროვანი ადამიანი ხართ. კალათბურთელი, საქველმოქმედო ფონდისა და კინოკომპანიის დამაარსებელი, დაინტერესებული ხართ პოლიტიკით და მეუღლეს ეხმარებით ალბომის ჩაწერაში. უამრავი სფეროა, სადაც შეგიძლიათ კარიერის დასრულების შემდეგ საკუთარი ძალა მოსინჯოთ. რას აპირებთ?

- ვერ ვიტყვი, რომ მუდამ იმაზე ვფიქრობ, რას გავაკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ. ჯერჯერობით კალათბურთის თამაში ძალიან მინდა. კარიერის დასრულების შემდეგ ბევრი თავისუფალი დრო მექნება. ახლა ორი ძირითადი ვარიანტი მაქვს - წავიდე სამუშაოდ ტელევიზიაში ან პოლიტიკოსის კარიერა ავირჩიო. რამდენჯერმე შევხვდი ბარაკ ობამას და მის მეუღლეს. არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ და დავასკვენით, რომ შეგვიძლია ერთმანეთს დახმარება აღმოვუჩინოთ. მიშელ ობამას ქვეყანაში სპორტის განვითარების საინტერესო გეგმა აქვს და მას ამ საკითხში ვეხმარები, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახლა ჩემთვის პირველ ადგილზე მაინც კალათბურთია.

დანკანი ან ნიუ იორკი

ალექსანდრე ასათიანი

ტრეისი ჰიუსტონში, იაო მინთან ერთად

ტრეისი მაკგრეიდი ორ გუნდს დაუკავშირდა. ჩავიდა ნიუ იორკში და "ნიქსთან" ერთად წაივარჯიშა. "მედისონ სკვერ გარდენიდან" პასუხი არ მოსულა. მალე მოვა. ტრეისი ჩადის სან ანტონიოში და გრეგ პოპოვიჩის ქასთინგში იღებს მონაწილეობას. გრეგი გონიერი რეჟისორია. გრეგის პასუხიც მალე მივა. მაკგრეიდი ამ ორ ვარიანტს ელოდება და თუ ამერიკული თემა დაიხურება, ტრეისი ევროპაში ან ჩინეთში წავა. მაკგრეიდი თურქეთში ან პეკინში ცოტა წარმოუდგენელია. ტრეისი თურქეთსა და აზიურ ერთჯერად კონტრაქტზე დიდია. უბრალოდ, ასაკშია. მისტერ მაკგრეიდი 33 წლისაა, რომელიც ბიჭობს და ველარც ქაჩავს. პოპოვიჩი ვეტერანებს აგროვებს. ნიუ იორკში ყველას აკვირდებიან და საკონტრაქტო შეცდომებს უშვებენ. ტრეისი ელოდება.

მაკგრეიდი მეორე ნომერია, შუთერობს და დროდადრო დგება პირველზეც. თუ მწვრთნელი დაბალ, მოქნილ ხუთეულს ათამაშებს, ტრეისი მსუბუქი ფორვარდია.

"სან ანტონიოში" მაკგრეიდის 10-15 წუთი ექნება. თუ გრეგი ტრეისის დაუძახებს. იქ მეორე ნომერზე ემანუელ ჯინობილი დგას და მანუს დროს დენი გრინი, გარი ნილი იღებენ. მესამე ნომერზე გრეგის ფავორიტი კავაი ლეონარდი იქნება. წინა რეგულარულის ერთ-ერთი საუკეთესო პირველწლიანი. უნივერსალი მაგარი დაცვით, მაგარი ნერვებით და კარგი სამიანით. სლეშერობს, იღებს ფოლებს და თავის შეცდომებს აგრესიით ფარავს. შეცდომები იყო და ლეონარდი წელს უკეთესი იქნება. კავაიში გრეგმა ამ გენერაციის ბრიუს ბოუენი დაირტყა. იქვე ირბენს სტივენ ჯექსონი. ძველი ბიჭი ჩემპიონის ქარიზმით და თავისი მშვენიერი საკალათბურთო აკადემიით. სტივი 30 წუთამდე მიიღებს. "სან ანტონიო" მაკგრეიდისთვის კარგი ვარიანტია და ტრეისის იქ ბევრი კარგი ბიჭი დახვდება.

"ნიუ იორკი" სხვა თემაა. მესამე ნომერზე კარმელო ენტონია. რეიმონდ ფელტონი და ჯეისონ კიდი ფლეიმეიქერობენ და თუ ხუთეულში ორივე ერთად დგება, ფელტონი მსროლელზე გადავა. გუნდშია მოქნილი და აგრესიული მსროლელი აიმენ შამპერტი. შარშან ტრავმით თამაშები გაუცდა და მეორე სეზონში აკრიფავს. შამპერტი საჭირო პერსონაჟია, საქმეს აკეთებს. "ნიქსმა" ესპანეთიდან მოხუცი არგენტინელი პაბლო პრიჯიონიც დაირტყა და სად უნდა დააყენოს, ჯერ არ იცის. ბევრი პირველი ნომრის გუნდში 35 წლის პრიჯიონი ზედმეტია. ჯეი არ სმიტს 30 წუთი უთუოდ აქვს. "ნიქსის" მწვრთნელები რაღაც დროს ჯეიმს უაითსაც მისცემენ და ტრეისის პერსპექტივა მცირდება, უფრო უპერსპექტივო ხდება. მაკგრეიდისთვის "სან ანტონიო" უკეთესი ვარიანტია. ბევრად უკეთესი.

მაკგრეიდი "ნიქსში" უკვე (2009/10) იყო. რეგულარულის 24 ტესტში საშუალოდ 9.4 ქულა, 3.9 პასი და 3.4 მოხსნა აკრიფა. ის "ნიქსი" კონფერენციის ბალასტი იყო. ეს "ნიქსიც" დასალაგებელი ბენდია და ენტონისთან, ამარე სტაუდმაიერთან, ტაისონ ჩენდლერთან ერთად გუნდმა ფლეი-ოფის ვიზა შარშან უკვე მიიღო. "მედისონის" ძველი ბიჭი ფლეიოფში ამ სეზონშიც გავა. აუცილებლად გავა. მაკგრეიდისთან ან მაკგრეიდის გარეშე.

ტრეისი მაკგრეიდის კარგი CV აქვს. შარშან, "ატლანტაში", ლიმიტირებულ დროში (16 წუთი) 5.3 ქულას და 3.0 მოხსნას აგროვებდა. ადრე მკვლელი ტრეისი იყო. "ორლანდოში" მაკგრეიდის სტატისტიკა ბრუტალური, არარეალურია - **2000/01**, **26.8** ქულა, 7.5 მოხსნა, 4.6 პასი` **2001/02**, **25.6**+7.9+5.3; **2002/03**, **32.1**+6.5+5.5; 2003/04 0 28.0+6/0+5.5` ტრეისი ფლორიდიდან ჰიუსტონში მიდის და იაო მინთან ერთად დარბის. ჩინელი დაიმტვრა და მაკგრეიდი დაბერდა. "როკეტსმა" ჯეკპოტი ვერ მოხსნა. პროექტი ერთჯერადი იყო. მაკგრეიდიმ "ნიქსში" გააგრძელა კარიერა. მერე მიდის "დეტროიტში". ბოლო გაჩერება ზაზა ფაჩულიას რესტორანი იყო.

მაკგრეიდი კარიერით - **18 381** (19.6) ქულა, **5 276** (5.6) მოხსნა, 4 161 (4.4) პასი. სოლიდური თემა. მაკგრეიდიც სოლიდური იყო. ტრეისი (1997/98) "ტორონტოში" იწყებს თამაშს, ნიჭიერ ნათესავთან, ვინს კარტერთან ერთად. მერე "ორლანდო" და დიდი კუში წამოვიდა. მაკგრეიდიმ სადღაც რაღაც ვერ აიღო, სადღაც ხასიათის სიმტკიცე დააკლდა და ელეგანტურ, სექსუალურ და არაგიგანტ მოთამაშედ შეიპარა ლიგის ისტორიაში.

ტრეისი 33 წლისაა. აგროვებს სპორტულ მანქანებს. აგროვებს მოგონებებს.

და პასუხს ელოდება. "ნიქსის" ან "სან ანტონიოს" პასუხს. ჩვენც.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე